ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

## ვინ იღებს საქართველოში ყველაზე მაღალ ხელფასს?

გვ.5



შაბათი – კვირა, 5 – 6 სექტემბერი, 2015

1208 (6828)

აფცბ5 №) სტსჰბ

# ჯონდი ბაღათურია:
# პური 1,5–2 ლარი გახდება!“



გვ.3

ხალხმა დროზე უნდა ამოიღოს ხმა, მანამ, სანამ საქმე ცოცხებამდე მივა. აქ საზოგადოების პასუხისმგებლობის საკითხიც დგას, მან არ უნდა მისცეს ხელისუფლებას უფლება, საქმე აქამდე მიიყვანოს.

## რატომ არ დადიან დეპუტატები პარლამენტში

გვ.5



ხათუნა გოგორიშვილი: „საპარლამენტო უმრავლესობა არის უსაქმური“



## „ნაციონალები რევოლუციისთვის ემზადებიან“

გვ.2



ზაალ კასრელიშვილი: „დასავლეთს რამდენიმე მინისტრთან სერიოზული კითხვები აქვს“



## პეტრე მამრაძე: ტელევიზია არ დახურავდა ცხელ, რეიტინგულ გადაცემას“

გვ.4

„ოცნების“ წარმომადგენლები სატელევიზიო კამათს სადისტური რეჟიმის წარმომადგენლებთანაც კი აგებენ“

ISSN 1987-9385

## მარკირება – კიდევ ერთი ბარიერი ბიზნესისთვის?

გვ.6



# ნაციონალები რევოლუციისთვის ემზადებიან“

## ზაალ კასრელიშვილი: „დასავლეთს რამდენიმე მინისტრთან სერიოზული კითხვები აქვს“

შორენა მარსაგიშვილი

**ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი აკაკი მინაშვილი მომხრეებს აიმედებს, რომ ისინი იმაზე ადრე დაბრუნდებიან ხელისუფლებაში, ვიდრე ეს ვინმეს წარმოუდგენია. დეპუტატის განმარტებით, სწორედ ამ მოტივით თქვეს მათ შუალედურ არჩევნებში მონაწილეობაზე უარი. რისთვის ემზადებიან ნაციონალები, დაასხამს თუ არა მათ წისქვილზე წყალს მძიმე სოციალური ფონი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.**

***— დეპუტატი აკაკი მინაშვილი აცხადებს, რომ ისინი ხელისუფლებაში იმაზე ადრე დაბრუნდებიან, ვიდრე ვინმეს ჰგონია. თქვენი აზრით, ეს განცხადება რეალობასთან ახლოს არის?***

— ნაციონალებს ხელისუფლებაში დაბრუნების სურვილი ნამდვილად აქვთ. საამისოდ მარტო სურვილი არ კმარა და არც ისინი არიან მხოლოდ სურვილის ანაბარა. მიზნის მისაღწევად ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს საჭირო კავშირებიც აქვთ და საინფორმაციო უზრუნველყოფაც, გამოცდილებაზე აღარაფერს ვამბობ.

***— გამოდის, რომ მინაშვილის დაპირება რეალობასთან ახლოს არის?***

— სხვა გამოსავალი მათ, უბრალოდ, არა აქვთ. ისინი ხელისუფლებაში არჩევნების გზით ვეღარ დაბრუნდებიან და ვერც იმ შედეგს გაიმეორებენ, რომელიც 2012 წელს აჩვენეს. აქედან გამომდინარე, ისინი იძულებული არიან, რევოლუციის გზით შეცვალონ ხელისუფლება.

რევოლუციას თან ახლავს ყიჟინა და ემოცია, რომლის დასრულების შემდეგაც მოსახლეობა გამარჯვებულებს საარჩევნო ხმებით აჯილდოებს.

***— რევოლუციის მოწყობა შეიძლება უნდათ, მაგრამ მოსახლეობის მხარდაჭერა ექნებათ?***

— მოსახლეობა არსებული ხელისუფლების მიმართ მკვეთრად უარყოფითად არის განწყობილი. ამის მიუხედავად, ისინი ქართულ ოცნებასთან“ ოპონირების რეჟიმში არ არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ხალხმა ხელი



ჩაიქნია.

***— რაზე ჩაიქნია ხელი?***

— ხელისუფლებისგან აღარც სამართლიანობის აღდგენას ელოდებიან და არც სოციალური პირობების გაუმჯობესებას. მოსახლეობა პროტესტს გულში ინახავს.

***— როდემდე შეიძლება, პროტესტი გულში შეინახონ?***

— ვერ გეტყვით, ეს მოვლენების განვითარებაზე იქნება დამოკიდებული. ერთ მშვენიერ დღეს მათ, შესაძლოა, ხელისუფლების ოპონენტის მიმართ მხარდაჭერა გამოხატონ.

***— ხელისუფლების ოპონენტში ნაცმოძრაობას გულისხმობთ?***

— სავსებით შესაძლებელია, მათ დაუჭირონ მხარი, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიმართ უარყოფითად არიან განწყობილი.

***— ეს რანაირად უნდა მოხდეს, თუ არ მოსწონთ, მხარი როგორ უნდა დაუჭირონ?***

— როგორ და ჩვეულებრივად. ასეთი რამე საქართველოში ბევრჯერ მომხდარა.

***— ნაციონალების მხარეს ხელისუფლების წევრების გადასვლას თუ ექნება ადგილი?***

— გადაჯგუფება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ნაცმოძრაობა რევოლუციურ განწყობას შექმნის. ქუჩაში ასეულობით ათასი ადამიანი თუ გამოვიდა, „ქართულ ოცნებაში“ მყოფი მედროვეები დაუყოვნებლივ მოძებნიან ახალ პატრონს. გადახედეთ კოალიციის შემადგენლობას და ნახავთ, რომ ამ ხალხის დიდი ნაწილი ყველა დროის ხელისუფლების კალთაში კარგად გრძნობს თავს.

***— თქვენი აზრით, ნაცმოძრაობა შეძლებს ასეულობით ათასი ადამიანის ქუჩაში გამოყვანას?***

— მძიმე სოციალური ფონი ფართომასშტაბიანი აქციების წინაპირობას აუცილებლად შექმნის. როგორც უკვე გითხარით, ხალხი ხელისუფლებისგან უკეთესობას აღარ ელის. ხელისუფლებით უკმაყოფილო ხალხი, შესაძლოა, ნაციონალების მიტინგზე არ გავიდეს, მაგრამ არც „ქართულ ოცნებას“ მისცემს ხმას.

***— რამდენად დიდია რევოლუციის მოწყობის შანსები?***

— ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენი ადამიანი გამოვა ქუჩაში. პროცესების განვითარება დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გაშუქდება ეს ყველაფერი. 2003 წლის ნოემბერში ქუჩაში დიდი რაოდენობით არ გამოსულა ხალხი. მაგ დროს რომ ხალხი გამოვიდა ქუჩაში, მაგაზე ათჯერ მეტი ხალხი დადიოდა მომდევნო წლებში მიტინგებზე.

დღეს ყველა იმაზე საუბრობს, რომ ნაციონალებს რევოლუციის გზით აქვთ დაგეგმილი გამარჯვება. ამავე დროს, არავინ უშვებს, რომ ამ ყველაფერს, შესაძლოა, სამოქალაქო ომი მოჰყვეს.

***— არსებობს სამოქალაქო ომის საშიშროება?***

— როგორ არ არსებობს. მოსახლეობა დღეს ნიჰილიზმშია ჩავარდნილი და ამ განწყობას ყოფილი ხელისუფლება გამოიყენებს. მათ ამის დიდი გამოცდილება აქვთ. მოქმედი და ყოფილი ხელისუფლებების დაპირისპირება პრორუსულებისა და პროდასავლურების დაპირისპირებაში გადაიზრდება.

როგორც კი ამ ჭრილში გადავა დაპირისპირება, საერთაშორისო თანამეგობრობა აქტიურად ჩაერევა პროცესებში.

***— აქტიურ ჩარევაში რას გულისხმობთ?***

— უცხოური მედია დაიწყებს ამ პროცესების გაშუქებას. ისინი პროცესებს პროდასავლურად მიჩნეული ძალის სასარგებლოდ გააშუქებენ.

***— რომელი მხარე ჩაითვლება პროდასავლურ ძალად? ნაციონალების მსგავსად, „ქართული ოცნებაც“ ამტკიცებს, ჩვენ პროდასავლური ძალა ვართო.***



— ვინ რა პოზიციას იბრალებს, ვერაფერს გეტყვით. დასავლეთს პრობების განსაზღვრაში თავისებური სტანდარტები აქვს.

***— ამ სტანდარტებში ვერ ჯდება მოქმედი ხელისუფლება?***

— ეს სტანდარტების დამწესებლებს უნდა ვკითხოთ. მე, უბრალოდ, ერთ მაგალითს მოვიყვან — სანამ თინა ხიდაშელი არ გახდა თავდაცვის მინისტრი, საქართველოში ნატოს სასწავლო ცენტრის გახსნა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. თუ კითხვას დავსვამთ, ვისი კადრი იყო წინა თავდაცვის მინისტრი ჯანელიძე, ყველა კითხვას თავისთავად გაეცემა პასუხი. დასავლეთში კიდევ რამდენიმე მინისტრთან დაკავშირებით აქვთ კითხვები.

***— რასთან დაკავშირებით აქვთ კითხვები?***

— მათ პოლიტიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებით.

***— შეგიძლიათ ამ მინისტრების ვინაობის დასახელება?***

— მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ისინი პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის გუნდის წევრები არიან. ამ ხალხს დასავლეთში, როგორც პრორუსულებს, ისე უყურებენ.

***— იქნებ მაინც დაასახელოთ მათი ვინაობა?***

— ამას ახლა დიდი მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს. ისეთი პროცესები იწყება, ამ პერსონებისთვის აღარავის ეცლება. შემოდგომაზე აქ ისეთი პროცესები დაიწყება, ბევრ რამეს თავისით აეხდება ფარდა.

***— პროცესებში ნაციონალების მიერ დაანონსებულ ღონისძიებებს გულისხმობთ თუ კიდევ სხვა რამეებსაც უნდა ველოდოთ?***

— ბევრ რამეს უნდა ველოდოთ. აქ ძალიან პრინციპული დაპირისპირება დაიწყება. მედროვე ადამიანები უკვე მზად არიან მოვლენების შესაძლო განვითარებისთვის. ისინი შეხედავენ სიტუაციას და იმ მხარეს გადავლენ, ვის მხარეზეც გადაიხრება სასწორი.

***— როგორ გგონიათ, ვის მხარეს გადაიხრება სასწორი?***

— შესაძლოა, ორივე მხარე წაგებული დარჩეს.

***— რანაირად?***

— ამ დაპირისპირებაში ყოფილი და მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლები ერთმანეთს დაასუსტებენ. ამით ჩვენ აუცილებლად ვისარგებლებთ და ჩვენს სათქმელს ვიტყვით.

ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ სოციალური მოთხოვნებით უკმაყოფილო ხალხი ქუჩაში გამოვა, ამას ნაციონალები სათავისოდ გამოიყენებენ. არ არის გამორიცხული, პროცესებმა გაზაფხულისთვის გადაინაცვლოს და არჩევნების წინ დაიწყოს მღელვარება. სოციალური ფონის გაუმჯობესებას არ უნდა ველოდოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ დაპირისპირება გარდაუვალია. ნაციონალები ყველაფერზე წავლენ. როგორც უკვე გითხარით, მათი ხელისუფლებაში დაბრუნების ერთადერთი გზა რევოლუციაა.

***— „ქართულ ოცნებას“ თუ აქვს არჩევნების გზით ძალაუფლების შენარჩუნების შანსები?***

— თუ ვითარება არ გამოსწორდა და საარჩევნო სია პროფესიონალებით არ დააკომპლექტეს, ძალიან გაუჭირდებათ. მართალია, ნაციონალებს ხალხი აღარ ენდობა, მაგრამ უსამართლობის განცდამ და გაჭირვებამ, შესაძლოა, ისინი ქუჩაში გამოიყვანოს.

„ქართული ოცნება“ 2012 წლის არჩევნების შედეგს ვერ გაიმეორებს, მაგრამ არჩევნებში გამარჯვება მას დარჩება. ახლა მთავარია, არჩევნებამდე მივიდეთ და რევოლუცია არ მოხდეს. რევოლუციის შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნე, მოსახლეობა გამარჯვებულ მხარეს საარჩევნო ხმებით აჯილდოებს.

# თინა ხიდაშელი ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა



საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა 4 სექტემბერს ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრს ბიორგე ბრენდეს ოფიციალურ სადილზე უმასპინძლა.

შეხვედრას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძეც ესწრებოდა.

ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრისას თინა ხიდაშელმა ორ ქვეყანას შორის ურთიერთთანამშრომლობის საკითხებზე ისაუბრა.

თავდაცვის მინისტრმა ბიორგე ბრენდეს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის გზაზე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ნორვეგია ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ქვეყანაა და აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებისკენ სწრაფვას.

მინისტრებმა შეხვედრაზე ნორვეგიის სამეფოს თავდაცვის მინისტრის საქართველოში ვიზიტის დეტალები განიხილეს.

ნორვეგიელ კოლეგას საქართველოს თავდაცვის მინისტრი მომავალი წლის აპრილში უმასპინძლებს.

ბიორგე ბრენდე საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში, ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა „ამბასადორიალი 2015“-ში მიიღო მონაწილეობა, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ხურვალეთს ეწვია და საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.

ნიუსპრესი

# პრეზიდენტი ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონპროექტს ხელს მოაწერს



პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონპროექტს ხელს მოაწერს.

ამის შესახებ გიორგი მარგველაშვილმა 4 სექტემბერს ჟურნალისტებთან საუბრისას განუცხადა.

პარლამენტმა „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონპროექტზე პრეზიდენტის მიერ დადებული ვეტო 3 სექტემბერს დაძლია.

„ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ვეტო მიმდინარე წლის 31 ივლისს დაადო და საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, რომ მისი კრიტიკა დაიმსახურა როგორც კანონის მიღების დაჩქარებულმა პროცესმა, ისე მისმა შინაარსმა, რაც მისი ვეტოს საფუძველი გახდა.

აღნიშნული კანონი ეროვნული ბანკისგან საზედამხედველო ფუნქციის გამოყოფას ითვალისწინებს.

იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი კანონპროექტს ხელს არ მოაწერდა, ხელმოწერა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს მოუწევდა.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
[illegible]
www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
[illegible]

# ჯონდი ბაღათურია: პური 1,5–2 ლარი გახდება!“

ნონა ცაბაძე

**საზოგადოების მოლოდინი გამართლდა და ელექტროენერგიაზე ტარიფმა მოიმატა. მოხმარებულ ელექტროენერგიაში თბილისელები 4,5 თეთრით მეტს გადაიხდიან.**



„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია მოუწოდებდა საზოგადოებას, რომ საკუთარი უფლებების დასაცავად გამოსულიყვნენ და არ მიეცათ მარეგულირებელი კომისიისთვის მსგავსი გადაწყვეტილების მიღების უფლება. თუმცა ხალხმრავალი აქცია არ შედგა.

რატომ არ მივიდა ხალხი აქციაზე? რას აპირებს ოპოზიცია? გაგრძელდება თუ არა კვლავ აქციები დენის გაიაფების მოთხოვნით? — ამ და სხვა კითხვებზე ჯონდი ბაღათურია გვპასუხობს.

***— ბატონო ჯონდი, აქციაზე ხალხი არ მოვიდა. საზოგადოებაში ნიჰილიზმია? აქციებს რომ აანონსებთ, რისი იმედი გაქვთ, გამოგყვებათ საზოგადოება?***

— აქ გასათვალისწინებელია ის, რომ ჩემი მოწოდება მხოლოდ ერთხელ გავიდა მეორე არხზე და ერთხელ — თქვენი გაზეთით. როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ თბილისი ისევ ცარიელია, აქციაზე არც ისე ცოტა ხალხი იყო მოსული. თუმცა აქციაში მონაწილეთა რაოდენობა საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ შიშს დაესადგურებინა მარეგულირებელი კომისიის წევრთა გულებში და მიეღოთ სამართლიანი გადაწყვეტილება. მათ კორუმპირებული და უსამართლო გადაწყვეტილება მიიღეს.

ოპოზიციონერი სრული დარწმუნებით აცხადებს, აქციაზე რომ ყოფილიყო ათასობით ადამიანი, მსგავს გადაწყვეტილებას სემეკი ვერ მიიღებდა. ბაღათურიას მიაჩნია, რომ ის 200-300 კაცი, რომლებიც იქ შეგროვდნენ, საკმარისი გახდა იმისათვის, რომ 6 თეთრის მაგივრად 4 თეთრით გაიზარდა.

***— სამწუხაროდ. ამ აქციამ მეტი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიაზე, — აცხადებს „ქართული დასის“ ლიდერი.***

ბაღათურია სომხეთის მაგალითს იხსენებს, სადაც დენის ტარიფმა 2 თეთრით მოიმატა და მთელი სომხეთი გარეთ გამოვიდა. ოპოზიციონერი დარწმუნებულია, რომ ქართველი ხალხი ხელისუფლებას ამას არ აპატიებს.

— თუკი რამე უკუღმართობა ჰქონდა ნაციონალების ხელისუფლებას, ახალმა ყველაფერი გადმოიღო მათგან. ყველას კარგად გახსოვთ, რომ ყველა უბედურება აგვისტოში ხდებოდა ხოლმე. ამ დროს ხალხი გასულია და ძალიან მარტივია არასასურველი გადაწყვეტილების მიღება. ამ დროს ძალიან რთულია ხალხის მობილიზება და ქუჩაში გამოყვანა. ამან განაპირობა ხალხის სიმცირე, თუმცა, დარწმუნებული ვარ, საზოგადოების დიდი ნაწილი მზად არის, ამ თემისთვის ქუჩაში გამოვიდეს.

***— როგორია ოპოზიციის სამომავლო გეგმები, გამოგყვებათ მოსახლეობა?***

— ჩვენ ვგეგმავთ ორგანიზებულ პროტესტს ამ საკითხთან დაკავშირებით. ხალხი 15 სექტემბრისთვის დაბრუნდება თბილისში, დავიწყებთ მუშაობას იმისათვის, რომ საფუძველი ჩავუყაროთ ორგანიზებულ პროტესტს. ჩვენ ვაიძულებთ ხელისუფლებას, შეამციროს ტარიფი, რადგან ეს უსამართლო და უკანონო გადაწყვეტილებაა! აბსოლუტურად ყველა სხდომაზე მტკიცებულებები წარვადგინეთ, რომ ტარიფის გაზრდის არანაირი ეკონომიკური და სამართლიანი საფუძველი არ არსებობდა.

***— მაშინ რა მოხდა?***

— მოხდა ის, რომ ამით დაინტერესებულნი არიან კორუმპირებული ჩინოვნიკები. ამ დარგში ბიზნესი აქვთ და დაინტერესებულნი არიან, მეტი ფული იშოვონ! ტარიფი 7-8 თეთრამდე უნდა შემცირდეს და ამის ყველანაირი მტკიცებულება გვაქვს!

***— რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი ტარიფი ვერ შეცვალეთ? რა მდგომარეობაში აღმოჩნდება მოსახლეობა? ამბობენ, რომ სოციალურად დაუცველებს დააფინანსებენ...***

> ხალხმა დროზე უნდა ამოიღოს ხმა, მანამ, სანამ საქმე ცოცხებამდე მივა. აქ საზოგადოების პასუხისმგებლობის საკითხიც დგას, მან არ უნდა მისცეს ხელისუფლებას უფლება, საქმე აქამდე მიიყვანოს.

— მე მაქვს საფუძველი, რომ სკეპტიკურად მოვეკიდო ხელისუფლების ნებისმიერ დანაპირებს. ყველას კარგად გვახსოვს, რას გვპირდებოდნენ, ტარიფები განახევრდებაო და ამის მაგივრად 30%-ით გაზარდეს. რომც დაიწყონ რაიმე სუბსიდირება, ეს მარტივი არ იქნება. ეს განცხადებები კეთდება იმისათვის, რომ ახლა, ამ ცხელ გულზე მუხტი ჩააქრონ და მე ვერ შევძლო ხალხის მობილიზება.

ბაღათურიას განცხადებით, ხელისუფლების მიზანია, ამ ეტაპზე გაანეიტრალონ პირველი აღშფოთება, ხალხის პირველი რეაქცია, ხოლო შემდეგში ვის შეუნარჩუნებენ ამ დაფინანსებას და ვის — არა, ეს საკითხავი იქნება.

— როცა ხელისუფლება სოციალურად დაუცველებს აცხადებს, სოციალურად დაუცველთა ბაზაში შედის ღარიბი მოსახლეობის ნახევარიც კი არა.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ჯერ კიდევ სააკაშვილის რეჟიმის დროიდან მოყოლებული, დაწერილი აქვს ხალხს განცხადება და ითხოვს სიღატაკის პროგრამაში მოხვედრას, დაფინანსებას და მათ სახელმწიფო უარს ეუბნება.

***— ბევრია ასეთი?***

— აქამდე ასეთი იყო 600 ათასი ადამიანი, რომლებსაც ჰქონდათ დაწერილი განცხადება და მთავრობა მათ სხვადასხვა მიზეზის გამო უარს ეუბნებოდა. ამ ხალხს კი ეკუთვნის ღარიბის სტატუსი, მაგრამ შემწეობას არავინ აძლევს. არც ის დაგვავიწყდეს, რა რაოდენობის ხალხიც თვითონ ამოყარეს სიიდან. მიხვდნენ, რომ შეცდომა დაუშვეს და, იმედია, გამოასწორებენ. ამ ყველაფერთან ერთად, არის საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ღარიბია. მე ბევრი ვიცი, მარტო პენსიაზე რომ ცხოვრობს, მაგრამ არ მოუთხოვიათ სოციალურად დაუცველის სტატუსი.



***— ფიქრობთ, რომ ამდენ ხალხს მოატყუებენ და დაფინანსების გარეშე დატოვებენ?***

— დავუშვათ, ვიღაცა დააფინანსეს, მაგრამ დანარჩენებმა რა ქნან?! ქართულმა ეკონომიკამ რა უნდა ქნას?!

***— ანუ ტარიფის მატება ფასების ზრდას გამოიწვევს?***

— ავტომატურად ყველაფერი გაძვირდება! ეს არის მძიმე და უსამართლო დარტყმა არა მხოლოდ სოციალური სფეროსთვის და ხალხის მდგომარეობისთვის, არამედ ქართული ეკონომიკისთვის, იმიტომ რომ ავტომატურად ყველა პროდუქტი გაძვირდება. არ არსებობს პროდუქტი, რომელიც საქართველოში იწარმოება და რომელიც არ იყოს დამოკიდებული ელექტროენერგიაზე. პირველ რიგში პური გაძვირდება.

***— ხელისუფლება აცხადებს, რომ არ გაძვირდება.***

— როგორ არ გაძვირდება? პურის თვითღირებულებაში შედის წყალი, დენი, ფქვილი. დენი გაძვირდა, წყალიც გაძვირდება და ფქვილზე ხომ მონოპოლიას აწესებენ. სექტემბრის ბოლოს პური 1,5-2 ლარი გახდება! გაზიც მალე გაძვირდება მოსახლეობისთვის, თუმცა კომერციულ ორგანიზაციებს გაზი 95 თეთრამდე გაუძვირეს. გარდა პურისა, ყველა სხვა პროდუქტი გაძვირდება! ეს რას ნიშნავს, იცით? ქართული პროდუქცია ვეღარ გაუძლებს ფასების კონკურენციას და ისედაც ამდენ უმუშევარ ადამიანს კიდევ შეემატებიან დახურული საწარმოების უმუშევრად დარჩენილი თანამშრომლები!

***— გამოსავალს რაში ხედავთ?***

— გამოსავალი მხოლოდ ერთია! ხალხმა დროზე უნდა ამოიღოს ხმა, მანამ, სანამ საქმე ცოცხებამდე მივა. აქ საზოგადოების პასუხისმგებლობის საკითხიც დგას, მან არ უნდა მისცეს ხელისუფლებას უფლება, საქმე აქამდე მიიყვანოს. განცდა იმისა, რომ თურმე შეიძლება, ამ საზოგადოებას ცოცხით ხელში ელაპარაკო! ხალხო, ნუ დაელოდებით იმ დღეს, მაინცდამაინც ცოცხით როდის მოგადგებიან! შეიძლება, ხმა მანამდეც ამოვიღოთ. ყველა დროს, ყველა ხელისუფლებაში და ყველა ქვეყანაში ძალა საზოგადოების ხელშია! მხოლოდ საზოგადოების ერთიანობასა და აქტიურობას შეუძლია, იყოს შემაკავებელი ფაქტორი.

## ოთარ დანელია: პურის ფასის მატებაზე საუბარი ნაადრევია“

სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ დანელიას განცხადებით, თბილისში ელექტროენერგიის ტარიფის გაძვირების გამო პურის ფასის მატებაზე საუბარი ნაადრევია. ამის შესახებ ჟურნალისტებს ოთარ დანელიამ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა, როდესაც უპასუხა კითხვას, გამორიცხავს თუ არა ელექტროენერგიაზე ტარიფის გაზრდის გამო პურის ფასის მატებას.



— ჯერ არ უნდა გავუსწროთ მოვლენებს, ვინაიდან ეს ხვედრითი წილი ზოგადად და ელექტროენერგიის კონტრიბუცია არ არის კრიტიკული, ამიტომ არსებობს სხვადასხვა სახის ბიზნესმოდელი, სხვადასხვა ტექნოლოგია. ამიტომ რთულია ამაზე ან კი ან არა გიპასუხოთ. ჩვენ გვაქვს ძალიან ინტენსიური კომუნიკაცია და რაც ხელგვეწიფება, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს არ მოხდეს, — განაცხადა დანელიამ.

მისივე თქმით, მაქსიმალურად უწყობენ ხელს როგორც დარგს და იმ მეწარმეებს, რომლებიც აწარმოებენ პურს. მინისტრი აცხადებს, რომ მნიშვნელოვანია, ყველა დაბრკოლება მინიმუმამდე დაიყვანონ. როგორც დანელიამ განაცხადა, სწორედ ამ მოტივით გადაავადეს ფქვილის რეგლამენტი 1-ლ იანვრამდე.

ბიპიენი

## გიორგი კვირიკაშვილი: ნორვეგია ჩვენი ახლო პარტნიორია“

საგარეო საქმეთა მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ნორვეგია — როგორც დემოკრატიული, სტაბილური და ეკონომიკურად აყვავებული ქვეყნის სანიმუშო მაგალითი, საქართველოს ახლო პარტნიორია.



ამის შესახებ საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა, ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბორგე ბრენდეს საქართველოში ვიზიტის შეფასებისას განაცხადა.

გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და ჩვენი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი ნორვეგიის ურყევი მხარდაჭერის კიდევ ერთი მკაფიო გამოხატულებაა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნორვეგიის მხარდაჭერა საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის თვალსაზრისით.

— ჩვენ ვისაუბრეთ ალიანსში საქართველოს ინტეგრაციის პროცესსა და „არსებითი პაკეტის“ განხორციელების მიმდინარეობაზე, რომლის იმპლემენტაციაში ნორვეგიას სერიოზული წვლილი შეაქვს: ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრში, ხელმძღვანელი ნორვეგიელი სამხედრო იქნება, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

მინისტრის თქმით, შეხვედრაზე განხილული იქნა საქართველოს ევროინტეგრაციის დღის წესრიგი. მიუხედავად იმისა, რომ ნორვეგია არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა, იგი აქტიურად არის ჩართული საერთო ევროპულ პროცესებში და მჭიდრო პარტნიორობა აკავშირებს ევროკავშირთან.

გიორგი კვირიკაშვილმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ნორვეგიის მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

— ნორვეგიელმა მინისტრმა ერთ-ერთმა პირველმა დაგმო რუსეთის ფედერაციასა და სოხუმის და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმებს შორის დადებული ე.წ. ხელშეკრულება. დღეს ბატონი ბრენდე ბრძანდებოდა საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე სოფელ ხურვალეთში, სადაც თავად იხილა რუსეთის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებები. ნორვეგია — როგორც დემოკრატიული, სტაბილური და ეკონომიკურად აყვავებული ქვეყნის სანიმუშო მაგალითი, ჩვენი ახლო პარტნიორია, რომელთანაც გვაკავშირებს საერთო ინტერესები და მისწრაფებები. შესაბამისად, ჩვენი თანამშრომლობა აქტიურად ვითარდება.

ნიუსპრესი

## გიორგი მარგველაშვილმა გიორგი კვირიკაშვილს მადლობა გადაუხადა

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გიორგი კვირიკაშვილს მადლობას უხდის იმ თანამშრომლობისთვის, რომელიც მას ქვეყნის პირველ პირთან ეკონომიკის მინისტრის პოსტზე მუშაობის დროს ჰქონდა.

ამასთან, პრეზიდენტი კვირიკაშვილს წარმატებებს უსურვებს საგარეო საქმეთა მინისტრის რანგშიც.

**გიორგი მარგველაშვილი:**

— მინდა, წარმატება ვუსურვო ბატონ გიორგის კიდევ ერთ ახალ და მნიშვნელოვან სამსახურში, რომელსაც თავისი ქვეყნისთვის განახორციელებს. აგრეთვე მინდა მადლიერება გამოვხატო იმ თანამშრომლობისთვის, რომელიც მე პირადად მქონდა ბატონ გიორგისთან, როდესაც ის იყო ეკონომიკის მინისტრი.

ქვეყნის პირველმა პირმა, ასევე, მადლიერება გამოხატა იმ თანამშრომლობისთვისაც, რომელიც საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრ თამარ ბერუჩაშვილთან ჰქონდა.

ინტერპრესნიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# პეტრე მამრაძე: ტელევიზია არ დახურავდა ცხელ, რეიტინგულ გადაცემას“

## „ოცნების“ წარმომადგენლები სატელევიზიო კამათს სადისტური რეჟიმის წარმომადგენლებთანაც კი აგებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

**ამ დღეებში ბევრი მოსაზრება გამოითქვა ინგა გრიგოლიას ან უკვე დახურულ გადაცემაზე. მას იმაზე მეტი გამკრიტიკებელი გამოუჩნდა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. უპასუხოდ დარჩა მთავარი კითხვა _ რატომ დაიხურა 'რეაქცია~ მაშინ, როცა მისი სამი გადაცემა უკვე დაგეგმილი იყო?**



ამ საკითხზე ტელეკომპანია „იმედის“ ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული განმარტებები არასაკმარისად და არადამაჯერებლად მიაჩნია „სტრატეგიული მართვის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელს, ყოფილ დეპუტატ პეტრე მამრაძეს.

ამასთან, პეტრე მამრაძე გამორიცხავს, რომ სატელევიზიო საქმეებში რამენაირად ჩარეულიყო პირადად ბიძინა ივანიშვილი:

— გამოვრიცხავ, რომ ბიძინა ივანიშვილი ვიღაცას ეუბნებოდეს, ასე აჯობებსო, მაგრამ როგორ მოქმედებს მისი გუნდი? გუნდის წევრები თავისი პირადი საქმეების მოსაგვარებლად იყენებენ პატრონის სახელს. მათ ძალიანაც არ უნდათ, რომ ივანიშვილმა ნახოს რომელიმე ტელევიზიით, რომ „ოცნების“ წარმომადგენლებს ეძახიან გადაცემაში, ისინი კი უარს ამბობენ მასში მონაწილეობაზე. რატომ ამბობენ უარს? იმიტომ, რომ ნაციონალებთანაც კი აგებენ კამათს.

პეტრე მამრაძე, რომელიც პრეზიდენტის კანცელარიას ხელმძღვანელობდა, არაერთხელ შესწრებია იმას, თუ როგორ მანკიერად ხდებოდა შევარდნაძის სახელის გამოყენება:

— გვიანობამდე ვიყავი ხოლმე სამსახურში და ვხედავდი, როგორ იყენებდნენ ყოველ ნაბიჯზე შევარდნაძის სახელს. ყველაფერზე მიანიშნებდნენ, რომ ეს პირველი პირისაგან მოდის. „რუსთავი 2“-ში რომ უშიშროება შევიდა, ხომ არ გგონიათ, რომ ეს შევარდნაძემ დაავალა ვინმეს პირადად ან ირიბად? მას ეს თავშიც არ მოსვლია. ახლაც იგივეა. ბიძინა ივანიშვილი პოსტიდან წასულია, მაგრამ მასაც უტეხავენ სახელს.

პეტრე მამრაძის სიტყვებით, ტელევიზიების მხრიდან თვითცენზურაც ჩვეული მოვლენაა. ტელეკომპანიებში თვითცენზურა ჯერ კიდევ სააკაშვილის დროს ამოქმედდა.

მისთვის ბევრი რამის მიმანიშნებელია არა მარტო ინგა გრიგოლიას განცხადებები, არამედ ვახო სანაიას განმარტებები. ვახო სანაია იძულებული იყო, წასულიყო ტელეკომპანია „მაესტროდან“. სანაიამ მოგვიანებით გაავრცელა „მაესტროს“ მფლობელის განცხადება. მფლობელი სანაიას ეუბნებოდა, რომ მისი გადაცემების შემდეგ მას ხელისუფლებასთან პრობლემები ექმნებოდა.

პეტრე მამრაძე აღნიშნავს, რომ გადაცემების დახურვა ცუდია არამარტო ქვეყნისთვის, ეს უკუ შედეგის მომტანი იქნება „ქართული ოცნებისთვისაც“. არსებობს 2012 წლის მაგალითი. მაშინ სააკაშვილის რეჟიმს ემსახურებოდნენ „რუსთავი 2“-იც, იმდროინდელი „იმედიც“, ასევე „რეალ ტვ“ და სხვა არხები. იყო დეზინფორმაციის ნიაღვარი. ხალხს არწმუნებდნენ, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგადაა. შემდეგ პატარა ტელევიზიამ გამოაქვეყნა ციხის კადრები და 300 ათასი კაცი გამოვიდა ქუჩაში მაშინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ.

ზოგადად, მისი აზრით, ხელისუფლების მარცხი აშკარაა, როცა ტელევიზორს წაგებული აქვს მაცივართან. დღეს ტელევიზორი მაცივართან 10:0 მარცხდება. როგორი პროპაგანდაც უნდა იყოს, ადამიანი აღებს მაცივარს და ყველაფერს გრძნობს.

პეტრე მამრაძისათვის კატეგორიულად მიუღებელია დეპუტატ თამაზ მეჭიაურის ცნობილი ფრაზა პრეზიდენტის წინააღმდეგ. მისთვის გასაგებია პრეზიდენტის პოზიცია ეროვნული ბანკიდან საზედამხედველო სამსახურის გამოყოფის თაობაზე. ამასთან, იგი გიორგი მარგველაშვილს აკრიტიკებს იმის გამო, რომ ქართველ ერს დებილიზმის მსუბუქი ფორმით დაავადებული უწოდა.

პეტრე მამრაძის აზრით, პრეზიდენტს არ უნდა დაეწყო კინკლაობა ამა თუ იმ ფორუმში წასვლაზე და არ უნდა ეთქვა უარი, მოეხსნა გრიფი „საიდუმლო“ იმ საქმეზე, რომელიც სააკაშვილის მიერ ჩადენილ დანაშაულს ეხება.

# ვალერი კვარაცხელია: ნატოს სასწავლო ცენტრი საქართველოს კარგს არაფერს მოუტანს“



პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ ლიდერი ვალერი კვარაცხელია დარწმუნებულია, რომ საქართველოში ნატოს სასწავლო ცენტრის გახსნა ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს.

— ჩემი აზრით, ნაბიჯი, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ ნატოს მიმართულებით გადადგა, საქართველოს არაფერ კარგს არ მოუტანს, — განუცხადა ვალერი კვარაცხელიამ „სპუტნიკ-ჯორჯიას“ თბილისის საერთაშორისო პრესცენტრ „რია ნოვოსტი“-ში გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისი განცხადებით, საქართველოში ნატოს სასწავლო ცენტრის გახსნას ძალიან არასასურველი მოვლენები მოჰყვება.

**ვალერი კვარაცხელია:**

— პირველ რიგში, ეს, ალბათ, რუსეთის გაღიზიანება იქნება, მეორე — ეს იქნება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოს მიმართ გაუცხოვება. მესამე — ეს იმ რეგიონებს გააუცხოვებს, სადაც კომპაქტურად არიან ჩასახლებული ნაციონალური უმცირესობები და მეოთხე — ეს „ისლამური სახელმწიფოს“ მხრიდან საქართველოთი დაინტერესებას გამოიწვევს.

ნიუსპრესი

# ინგა გრიგოლია: ჩემი გადაცემა პოლიტიკური ზეწოლის გამო დაიხურა“



ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას განცხადებით, მისი გადაცემა პოლიტიკური ზეწოლის გამო დაიხურა.

ამის შესახებ გრიგოლიამ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლების შეხვედრის დაწყებამდე განაცხადა.

მისი თქმითვე, 2003 წლის რევოლუციის შემდეგ ისე იხურებოდა გადაცემები, არასდროს არავინ აპროტესტებდა.

**ინგა გრიგოლია:**

— მე მიმაჩნია, რომ ჩემი გადაცემა პოლიტიკური ზეწოლის გამო დაიხურა. როდესაც არსებობს საგანგაშო სიგნალები, მნიშვნელოვანია, სამოქალაქო საზოგადოება ასეთი ფორმით შეიკრიბოს და იმსჯელოს, რა ხდება ქვეყანაში, რადგან 2003 წლის რევოლუციის შემდეგ ისე იხურებოდა გადაცემები, არასდროს არავინ იკრიბებოდა, არავინ აპროტესტებდა.

მიმდინარე წლის 29 აგვისტოს ტელეკომპანია „იმედმა“ განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ საშემოდგომო სატელევიზიო სეზონზე ტელეკომპანია საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუების სეგმენტს დროებით აჩერებს.

— ამის მიზეზია ჩვენი სურვილი, შევცვალოთ არსებული გადაცემების ფორმატი და შევიმუშაოთ თვისობრივად ახალი სატელევიზიო პროდუქტი, რომელსაც შევთავაზებთ მაყურებელს 2016 წლიდან, — ნათქვამია განცხადებაში.

ნიუსპრესი

# ირაკლი ღარიბაშვილი: თუ რომელიმე თოქ-შოუ დაიხურა, ეს კონკრეტული ტელევიზიის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებაა“



პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მესამე წელია, დღევანდელმა მთავრობამ დაამტკიცა, რომ მედიის თავისუფლების კუთხით პირველ ადგილზეა.

ამის შესახებ ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისი თქმითვე, თუ რომელიმე თოქ-შოუ დაიხურა, ეს კონკრეტული ტელევიზიის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებაა.

**ირაკლი ღარიბაშვილი:**

— რაც არ უნდა ილაპარაკოთ, თქვენ და ოპონენტებმა, ეს მხოლოდ საუბარია. შედეგი არის ის, რომ მედია არის თავისუფალი. თუნდაც ის, რომ ნებისმიერ კრიტიკულ კითხვას გვისვამთ მთავრობის წარმომადგენლებს და არავითარი ზეწოლა ამ სამი წლის განმავლობაში არ ყოფილა მთავრობის მხრიდან, ეს არის აღიარება, ეს არის ფაქტი, ამას სჭირდება შეფასება და შესაბამისი დაფასებაც. თუ დაიხურა რომელიმე თოქ-შოუ, ეს არის კონკრეტული ტელევიზიის ხელმძღვანელის გადაწყვეტილება და მე არ ვაპირებ ამაზე კომენტარს. საჭიროა უფრო მეტი სიცხადე, გამჭვირვალობა და დასაბუთება, ეს უნდა მოჰკითხოთ ტელევიზიის ხელმძღვანელობას.

ნიუსპრესი

# თავდაცვის სისტემაში მომუშავე პირებს აზარტულ თამაშებში მონაწილეობა ეკრძალებათ



თავდაცვის სისტემაში მომუშავე ადამიანები, რომლებიც ჩაფლული არიან აზარტულ თამაშებში, ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემას წარმოადგენენ. ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა დოლიძემ განაცხადა.

— თავდაცვის სისტემაში მომუშავე პირებს ეკრძალებათ აზარტულ თამაშებში მონაწილეობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ზომა ემსახურება ფსიქოლოგიურ გამოჯანსაღებას. ეს ემსახურება, ამავე დროს, პრევენციას, რადგან, როცა ადამიანები ჩაფლული არიან აზარტულ თამაშებში, ეს არის ფსიქოლოგიური დამოკიდებულების ფორმა. ეს ასევე წარმოადგენს ქვეყნის უსაფრთხოებისთვის პრობლემას. დღესდღეობით აკრძალვა იყო სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე, მაგრამ ისეთი აკრძალვა, როგორც აქვს შსს-ს, რომ ეკრძალებათ აზარტულ თამაშებში მონაწილეობა, თავდაცვის სამინისტროს არ ჰქონია, — აღნიშნა დოლიძემ.

მისივე თქმით, თავდაცვის სამინისტროში შეიქმნება იურიდიული ცენტრი, რომელიც მოემსახურება იმ თანამშრომელთათვის დახმარებასა და კონსულტაციას, რომლებსაც არა აზარტული თამაშებისგან გამოწვეული ფინანსური პრობლემები აქვთ.

ინტერპრესნიუსი

# გიორგი კვერენჩხილაძე: პარლამენტის წევრისგან საპარლამენტო კულტურის დაცვა აუცილებელია“



— ნებისმიერი ადამიანის, მით უმეტეს პარლამენტის წევრისგან საპარლამენტო კულტურის დაცვა აუცილებელია საპარლამენტო ცხოვრებაში სასურველია და, მე ვფიქრობ, აუცილებელიც, ნებისმიერი ადამიანის მხრიდან, მით უმეტეს, პარლამენტის წევრისგან საპარლამენტო ეთიკის და კულტურის დაცვა, — ასე გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი გიორგი კვერენჩხილაძე დეპუტატ თამაზ მეჭიაურის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მისამართით გაკეთებულ განცხადებას.

გიორგი კვერენჩხილაძე მიიჩნევს, რომ უმჯობესია, საუბარი იყოს პროფესიული და არგუმენტირებული.

**გიორგი კვერენჩხილაძე:**

— საპარლამენტო ცხოვრებას გააჩნია თავისი ეთიკისა და კულტურის წესები. შესაბამისად, საპარლამენტო ურთიერთობასა და არა მარტო საპარლამენტო ცხოვრებაში სასურველია და, მე ვფიქრობ, აუცილებელიც არის ნებისმიერი ადამიანის მხრიდან მით უმეტეს პარლამენტის წევრისგან საპარლამენტო ეთიკისა და კულტურის დაცვა.

ამგვარი ტიპის განცხადებების გაკეთებას სჯობია, იყოს საუბარი პროფესიულად, არგუმენტირებულად, შინაარსობრივად იმ საკითხებთან, რაც პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნებით არის განპირობებული.

რაც შეეხება საკითხს იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტის მიერ მოტივირებული შენიშვნებით წარმოდგენილი კანონის პროექტი სცდება პრეზიდენტის უფლებამოსილებას, კვერენჩხილაძე მიიჩნევს, რომ საკითხზე სერიოზულად საუბარი რთულია, იქიდან გამომდინარე, რომ პრეზიდენტს ვეტოს უფლება აქვს მინიჭებული კონსტიტუციით.

— პრეზიდენტმა ვეტო დაადო და დაუბრუნა განსახილველად პარლამენტს. ის საკითხები, რომლებიც პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტით არის გათვალისწინებული, ეხება საბანკო ზედამხედველობას. თითოეული პუნქტი ემყარება საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებსა და დასკვნებს, — განაცხადა გიორგი კვერენჩხილაძემ.

ინტერპრესნიუსი

# პრემიერი წლის ბოლომდე უკრაინას ეწვევა

წლის ბოლომდე საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უკრაინას ეწვევა.

ინფორმაცია ამის შესახებ მედიის წარმომადგენლებს უკრაინაში საქართველოს ელჩმა მიაწოდა.

მიხეილ უკლებას განმარტებით, ვიზიტზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს. გათვალისწინებულია შეხვედრები ყველა მაღალი რანგის პირთან.

— პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ძალაში რჩება. ჩვენ ვმუშაობთ ამ საკითხზე. იცით, რომ ახლა სექტემბერია და გაეროს დროა. ყველა მიემგზავრება გაეროში და ალბათ ეს ვიზიტი წლის ბოლომდე შედგება. პრემიერ-მინისტრის ვიზიტი დღის წესრიგში დგას, — განაცხადა მიხეილ უკლებამ.

მედიანიუსი

# რატომ არ დადიან დეპუტატები პარლამენტში



## ხათუნა გოგორიშვილი: „საპარლამენტო უმრავლესობა არის უსაქმური“

შორენა მარსაგიშვილი

**საკანონმდებლო ორგანოში კვლავ დეპუტატების მწვავე დეფიციტია. საშემოდგომო სესია რამდენიმე დღის წინ გაიხსნა და უკვე ქვორუმის პრობლემაა. ახლა, დეპუტატები შვებულებიდან დასვენებულები გამოვიდნენ და წესით, შრომას უნდა ყოფილიყვნენ მოწყურებული.**

იმედის მომცემი იყო პირველი 2 სხდომა. იმ სხდომებზე კანონმდებლებმა პრეზიდენტის ვეტოს დასაძლევად მოიყარეს თავი. 2 სექტემბერს ვეტოს დაძლევა ვერ მოასწრეს. ამ საპატიო მიზეზის გამო 3 სექტემბერსაც მოუწიათ მუშაობა და ეტყობა, ისე გადაიღალნენ, 4 სექტემბერს პარლამენტის შენობას ვეღარ მიაგნეს.

როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, რამდენიმე დეპუტატი ქუთაისიდან თბილისში ფეხბურთის გამო გამოიპარა. 4 სექტემბერს საქართველოს საფეხბურთო ნაკრები შოტლანდიის ნაკრებს მასპინძლობდა.

ისე რაღაცაში მართლები იყვნენ გამოპარული კანონმდებლები, პოლიტიკურად გაცვეთილი კოლეგების ცქერას, იმის ყურება რომ ამჯობინეს, როგორ დასდევს 22 კაცი ერთ საწყალ ბურთს.

საკანონმდებლო ორგანოს პარასკევს „პროკურატურის შესახებ კანონში შესატან ცვლილებებზე“ უნდა ემსჯელა.

ეს კანონი უკვე გახდა დაპირისპირების და ინტრიგის საბაბი. გავრცელებული ინფორმაციით, უახლოეს წარსულში პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა და იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ცვლილებების გამო სერიოზულად იკამათეს.

სარწმუნო წყაროების ცნობით, წულუკიანი ისე გამოსულა წყობილებიდან, ღარიბაშვილს თანამდებობის დატოვებით დამუქრებია.

ამ და საპატიო მიზეზების გამო, დეპუტატები წესით კი უნდა მისულიყვნენ სხდომაზე, მაგრამ როდის იყო, ისინი ასეთ წესს ემორჩილებოდნენ.

სხდომის წამყვანმა რამდენჯერმე სცადა სხდომის დაწყება, მაგრამ ამაოდ. ქვორუმის არარსებობის გამო, სხდომა ჩაიშალა და დეპუტატებიც ბედნიერად დაიშალნენ.

სხდომის ჩაშლით, სხვების დარად, ბედნიერი ჩანდა ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერი ხათუნა გოგორიშვილი. საყოველთაო ბედნიერების ფონზე, მან მაინც მოახერხა აღშფოთების გამოხატვა და საპარლამენტო უმრავლესობა დაგმო. მარტო რომ დაეგმო, რა უჭირდა, კოლეგა კანონმდებლებს სულ უსაქმურები ეძახა.

გოგორიშვილი ღრმა მწუხარებით უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ ამ მოწვევის პარლამენტში ქვორუმის პრობლემა მწვავედ დგას.

მისივე განცხადებით, უმრავლესობის დეპუტატები სხდომებზე მხოლოდ მაშინ დადიან, როცა საქმე ივანიშვილის პირად ინტერესებს ეხება.

— საქმე სხვანაირად არის და უფრო მარტივია. უმრავლესობის დეპუტატები სხდომებზე მაშინ დადიან, როდესაც საკითხი კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილის პირად ინტერესებს შეეხება. როდესაც საკითხი ეხებოდა ვეტოს დაძლევას, რომ ბანკების კონტროლი ბიძინა ივანიშვილის ხელში იყოს, რათა მისი დანიშნული მარიონეტი აკონტროლებდეს კომერციულ ბანკებს, ასეთ შემთხვევაში, ყველა ,,თავქუდმოგლეჯილი“ მორბის სხდომაზე, — მჭმუნვარე სახით აღნიშნა კანონმდებელმა.

მისი თქმით, როცა გადის კანონპროექტები, რომელიც ხალხს და ამომრჩევლებს აინტერესებს, ისინი არ იწუხებენ თავს და არ მოდიან სხდომებზე.

— ჩვენ ადრეც ვთქვით და ახლაც ვიმეორებ, რომ ქვორუმი ამ ბოლო წლების განმავლობაში გვქონდა მხოლოდ ექვსჯერ თუ შვიდჯერ და ეს იყო ყველა ის შემთხვევა, როდესაც საკითხი შეეხებოდა ივანიშვილის პირად ინტერესებს. ჩვენ არ ვაპირებთ ვიყოთ უნიათო, უსაქმური საპარლამენტო უმრავლესობისთვის ხელშემწყობი ბიძინა ივანიშვილის ოცნებების ახდენაში, — აცხადებს გოგორიშვილი.

# ვინ იღებს საქართველოში ყველაზე მაღალ ხელფასს?

**ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს ოდენობის მიხედვით, პრეზიდენტი საკუთარი ხელფასით მე-9, პრემიერ-მინისტრი მე-18, ხოლო დეპუტატები 135-ე ადგილზე არიან.**

143 სახის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს მიხედვით, პირველ ადგილს — 16.537-ლარიანი ხელფასით კომუნიკაციის ეროვნული კომისიის თავმჯდომარე იკავებს, ხოლო ბოლო ადგილზე — 1.750-ლარიანი ხელფასით ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის მოადგილეა.



მაღალი რანგის სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირები, მათი ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოების მიხედვით, ასეთი რიგითობით შეიძლება დალაგდეს:

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე — 16.537 ლარი; კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ოთხი წევრის თანამდებობრივი სარგოებია — 16.338 ლარი, 16.149 ლარი, 15.842 ლარი და 14.886 ლარი; ენერგეტიკის და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე — 12.633 ლარი; ეროვნული ბანკის პრეზიდენტი — 12.500 ლარი; ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის წევრების ხელფასი — 11.900 — 11.900 ლარი; საქართველოს პრეზიდენტი — 6.900 ლარი; ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები — 6.500 ლარი (საბჭოში სულ 6 წევრია, ჯამში 39.000);

უზენაესი სასამართლოს მოსამართლე — 6.000 ლარი (არის 18 მოსამართლე, ჯამში 108.000 ლარი); საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე — 6.000 ლარი (არის 9 მოსამართლე, ჯამში — 54.000 ლარი); გენერალური აუდიტორი — 5.950 ლარი; გენერალური აუდიტორის პირველი მოადგილე — 5.600 ლარი; გენერალური აუდიტორის მოადგილე — 5.500 ლარი (სულ სამი მოადგილე, ჯამში — 16.500 ლარი); სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე — 5.000 ლარი (არის 26 მოსამართლე, ჯამში 130.000 ლარი); ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — 4.800 ლარი;

საქართველოს პრემიერ-მინისტრი — 4.250 ლარი; ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — 4.030 ლარი; ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი — 4.000 ლარი; საქალაქო სასამართლოს მოსამართლე — 4.000 ლარი (სულ 97 მოსამართლეა, ჯამში 388.000 ლარი); მთავარი პროკურორი — 3.910 ლარი;

აღნიშნულ სახელმწიფო თანამდებობის პირებს ხელფასების ოდენობის მიხედვით მინისტრები მოჰყვებიან. ყველა მინისტრის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო 3.540 ლარს შეადგენს. ასევე 3.540 ლარია მთავრობის

ადმინისტრაციის უფროსის, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის, დაზვერვის სამსახურის უფროსისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო.

ხელფასის ოდენობების მიხედვით რიგითობა ასე გრძელდება: — მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე — 3.520 ლარი; საგადასახადო ომბუდსმენი — 3.500 ლარი; პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი — 3.500 ლარი; საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე — 3.450 ლარი; მთავარი პროკურორის მოადგილე — 3.400 ლარი (ჰყავს ორი მოადგილე, ჯამში 6.800 ლარი); აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე — 3.310 ლარი; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე — 3.310 ლარი;

ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი — 3.200 ლარი; სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი — 3.200 ლარი; საგადასახადო ომბუდსმენის მოადგილე — 3.125 ლარი; აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — 3.070 ლარი; აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — 3.070 ლარი; საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი — 3.000 ლარი.

2.950 ლარია მინისტრების პირველი მოადგილეების ხელფასი. ასევე 2.950-2.950 ლარიანი ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოები აქვთ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეს, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს (ჰყავს ორი მოადგილე);

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის პირველი მოადგილეს და მოადგილეებს, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსს, შემოსავლების სამსახურის უფროსსა და სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორებს.

2.900 ლარია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მოადგილის თანამდებობრივი სარგო. მას მოჰყვებიან იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი — 2.880 ლარი; შემოსავლების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე — 2.750 ლარი. 2.750 ლარია მერების (სულ 12 მერი, ჯამში 33.000 ლარი) ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოები.

მერებს 2.720-ლარიანი თანამდებობრივი სარგოებით მინისტრების მოადგილეები მოჰყვებიან. ასევე 2.720-ლარიანი თანამდებობრივი სარგო აქვთ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებს (სულ ოთხი მინისტრი, ჯამში 10.880 ლარი), პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეს (ორი მოადგილე, ჯამში 5.440 ლარი) და ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის უფროსს.

სასაზღვრო პოლიციის უფროსის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო 2.710 ლარია, პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის — 2.700 ლარი.

2 650 ლარიან ხელფასს იღებენ აფხაზეთის არ-ის მინისტრები, საკრებულოების თავმჯდომარეები (არის საკრებულოს 71 თავმჯდომარე, ჯამში 188.150 ლარი) და გამგებელი (სულ 59 გამგებელი, ჯამში 156.350 ლარი).

ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს ოდენობის მიხედვით მათ შემდეგ მოდიან: შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე — 2.600 ლარი (ორი მოადგილე, ჯამში 5.200 ლარი); იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები — 2.500 ლარი (15 წევრი, ჯამში 37.500 ლარი).

2.360 ლარს შეადგენს აჭარისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეების მოადგილეებისა და გუბერნატორების პირველი მოადგილეების ხელფასი. 2.250 ლარია გუბერნატორების რიგით მოადგილეთა ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოები.

2.220 ლარს შეადგენს პარლამენტის აპარატის უფროსის თანამდებობრივი სარგო. მას მოჰყვებიან პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი — 2.220 ლარი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრების პირველი მოადგილეები — 2.130 ლარი; აფხაზეთის არ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე — 2.100 ლარი; აფხაზეთის არ განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე — 2.060 ლარი; პარლამენტის აპარატის უფროსის მოადგილე — 2.050 ლარი (ჰყავს ორი მოადგილე);

2.000 ლარს შეადგენს პარლამენტის წევრთა ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო (პარლამენტის 150 წევრი, ჯამში 300.000 ლარი).

პარლამენტის წევრების შემდეგ მოდიან აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები — 1.950 ლარი (18 წევრი, ჯამში 35.100 ლარი); აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრები — 1.950 ლარი (23 წევრი, ჯამში 44.850 ლარი); აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრების მოადგილეები — 1.950 ლარი (11 მოადგილე, ჯამში — 21 450 ლარი); აფხაზეთის არ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე — 1 900 ლარი; აფხაზეთის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე — 1.900 ლარი; აფხაზეთის არ განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე — 1.870 ლარი;

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის პირველი მოადგილე — 1.850 ლარი და ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის მოადგილე — 1.850 ლარი.

აღნიშნული მონაცემები საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა შეადგინა, რომელიც, თავის მხრივ, დეპუტატ ზაქარია ქუცნაშვილის საკანონმდებლო ინიციატივის საფუძველზე მომზადდა.

ცნობისთვის, ქუცნაშვილის ავტორობითა და ინიციატივით პარლამენტში ინიცირებულია საკანონმდებლო პროექტი, რომელიც მაღალი რანგის სახელმწიფო თანამდებობის პირთა პრემიების შეზღუდვას ისახავს მიზნად. საკანონმდებლო ინიციატივა ეხება პრემიის მიღების უფლების შეზღუდვას 25 მაღალი რანგის 744 თანამდებობის პირისათვის. აქედან 24 რანგი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მაღალი თანამდებობის პირებსა და მათ მოადგილეებს ეხება, ხოლო ერთი ადგილობრივი ხელისუფლების შემდეგ თანამდებობის პირებს — საკრებულოს თავმჯდომარეს, მერსა და გამგებელს.

ბიპიენი

# გაერო: კონფლიქტების გამო 13 მილიონი მოსწავლე სკოლაში ვერ დადის“

13 მილიონი მოსწავლე კონფლიქტების გამო სკოლაში სიარულს ვერ ახერხებს. ამის შესახებ გაერო-ს მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშშია აღნიშნული.

როგორც გაერო-ს ბავშვთა დაცვის ფონდში აცხადებენ, კონფლიქტების შედეგად ძირითადად ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონები ზარალდებიან.

ანგარიშის მიხედვით, სირიაში, ერაყში, იემენსა და ლიბიაში თითქმის 9.000 სკოლაში სასწავლო პროცესი შეწყვეტილია.




ამას გარდა, სკოლის შენობების დიდი ნაწილი საბრძოლო მოქმედებების გამო დაზიანებული ან სრულიად განადგურებულია.

შიშობენ, რომ სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების რიცხვი მომავალი ოთხი წლის განმავლობაში კიდევ უფრო გაიზრდება. ოფიციალური მონაცემებით, 2014 წლის განმავლობაში სირიაში, ერაყში, ლიბიაში, პალესტინაში, სუდანსა და იემენში სულ 214 სკოლაზე განხორციელდა თავდასხმა.

ინტერპრესნიუსი

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

577-29-37-41, 247-58-83

# მარკირება — კიდევ ერთი ბარიერი ბიზნესისთვის?

## „როდესაც საკუთარ ინდუსტრიას ასე ექცევი, რომელი ჭკუათმყოფელი ჩამოვა აქ ინვესტიციების ჩასადებად?!“



**კანონპროექტზე, რომელიც უალკოჰოლო სასმელების მარკირებას ითვალისწინებს, მთავრობა უკვე რამდენიმე წელია, მუშაობს. ჯერ კიდევ სამი წლის წინ, 2012 წლის 24 აპრილს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის №129-ე ბრძანების საფუძველზე განისაზღვრა არააქციზური საქონლის მარკირების სავალდებულო წესი.**

აღნიშნული ბრძანების თანახმად, სავალდებულო მარკირებას უნდა დაექვემდებაროს არაალკოჰოლური სასმელები, მათ შორის, მინერალური და მტკნარი წყალი.

ელექტრონულ მარკირებას, საქართველოს სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, შვეიცარიული კომპანია „სიქფას“ შვილობილი კომპანია ახორციელებს, რომელმაც, სახელმწიფოსთან დადებული კონტრაქტის თანახმად, გაწეული მომსახურებისთვის შესაბამისი საფასური უნდა მიიღოს. საქონლის სავალდებულო ნიშანდება ანუ მარკირება 2013 წლის 1 იანვრიდან უნდა განხორციელებულიყო, თუმცა საკითხი რამდენჯერმე გადაიდო და ახლა ბოლო ვადად 1 ნოემბერი სახელდება.

ფინანსთა სამინისტროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას უარყოფითად აფასებენ ბიზნესის წარმომადგენლები:

„ამ სერვისისთვის ხარჯების გაწევის ყველა ვარიანტი, რომელიც შემოთავაზებულ იქნა შესაბამისი ორგანოების მხრიდან, არასამართლიანი და არარაციონალურია... ეწინააღმდეგება როგორც ბიზნესის, ისე სახელმწიფოს ინტერესებს“, — ნათქვამია წერილში, რომელიც მეწარმეებმა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მისწერეს. ბიზნესის ნაწილი მიიჩნევს, რომ სავალდებულო მარკირება პროდუქციის გაძვირებას გამოიწვევს.

მოსალოდნელ მარკირებას მწვავედ აკრიტიკებს კომპანია „ნატახტარის“ კორპორატიულ საქმეთა დირექტორი ნიკოლოზ ხუნძაკიშვილი:

— საქართველოს, როგორც ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმომწერ ქვეყანას, ვალდებულება აქვს აღებული, რომ ჩვენი კანონმდებლობა ჰარმონიაში იყოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ევროკავშირის ქვეყნებში კი, მსგავსი პრაქტიკა არ მეგულება, სამაგიეროდ, მარკირება მოქმედებს ჩვენს მეზობელ სომხეთში, ბელორუსში, მაროკოში, ბრაზილიასა და აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში.

თუ ჩვენ გვინდა, ევროკავშირის დონის ქვეყანა ავაშენოთ, უპირველესად ევროპის ქვეყნების გამოცდილება უნდა გავიზიაროთ. ამბობენ, რომ ქვეყანაში აღურიცხავი საქონლის პრობლემა დგას და ამ პრობლემის მოგვარება წინასწარი მონაცემებით, 5 მილიონი ლარი დაგვიჯდება, ეს თანხა მარკირებაში ან ჩვენ უნდა გადავიხადოთ, ან სახელმწიფომ. ჯერ არ არის გადაწყვეტილი ვინ გადაიხდის, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ ეს ტვირთიც ბიზნესს დააწვება.

დავუშვათ, სახელმწიფომ გადაიხადოს, მაშინ ეს ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტისთვის და ეროვნული ვალუტისთვის იქნება ტვირთი, რაც ასევე არ არის მოსაწონი. მოგეხსენებათ, ლარის გაუფასურებამ ბიზნესი ყველაზე მეტად დააზარალა. თანაც, ეს არაადეკვატურად დიდი თანხაა. ძალაუნებურად მიჩნდება კითხვა — თუ ქვეყანაში ამ რაოდენობის

აღურიცხავი საქონელი ბრუნავდა, მაშინ ბოლო სამი წლის განმავლობაში სად იყო ეს ხალხი?! ძირითადად, აქ საუბარია წვრილ მეწარმეებსა და იაფფასიან პროდუქციაზე, რომლის ხარისხიც სურსათის უვნებლობის სამსახურის ჩარევით უნდა შემოწმდეს და არა ელექტრონული მარკირებით. ლიმონათის მცირე საწარმოები შემთხვევითი შერჩევით უნდა შეამოწმონ, თორემ ჩვენ 100%-ით გამჭვირვალე საქმიანობა გვაქვს. ასეთია ჩვენი არგუმენტები.

ნიკოლოზ ხუნძაკიშვილი უარყოფითად აფასებს 5 მილიონი ლარის უცხოური კომპანიისთვის გადახდასაც:

— ჩემი აზრით, ეს უმიზნოდ დახარჯული ფული იქნება, რაც შეეხება „სიქფას“, ეს არის ბიზნესი და როგორც ჩვენ, ისიც ცდილობს რაღაც მოგება მიიღოს. თუ სახელმწიფო ამის საშუალებას მისცემს, რატომაც არა? „სიქფას“ მიმართ მე პრეტენზიები არა მაქვს, მე პრეტენზიები მაქვს იმ არაჯანსაღი მიდგომის მიმართ, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის მიმართ ჩამოყალიბდა: მსხვილი კომპანიაა, ფული აქვთ, ყველაფერს იხდიან და ბარემ ამასაც გადაიხდიან. ყოფნა-არყოფნის საკითხი ჩვენთვის არ დგას, შესაბამისად, უფრო მეტს წაგვართმევენ, მაგრამ ამ ყველაფერს სხვებიც ხომ უყურებენ?

საკუთარ ინდუსტრიას რომ ასე მოექცევი, რომელი ჭკუათმყოფელი ჩამოვა აქ ინვესტიციების ჩასადებად? ეს არ არის ჯანმრთელი პროცესი და ჩვენ მას ვეწინააღმდეგებით.

მარკირებისთვის გაღებული თანხა იქნება აბსოლუტურად ზედმეტი ხარჯი ინდუსტრიისთვის და სახელმწიფო ბიუჯეტისთვისაც. კიდევ ერთხელ ვამბობ, არ არის გადაწყვეტილი ვინ გადაიხდის ამ თანხას. პირობა იყო, რომ სახელმწიფოს უნდა გადაეხადა, ოღონდ ეს მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმებაა, რადგან არანაირი ოფიციალური დოკუმენტი ჩვენ და სახელმწიფოს შორის არ არსებობს. რეალურად, „სიქფასა“ და სახელმწიფოს შორის არის გაფორმებული ხელშეკრულება და არა — „სიქფასა“ და ჩვენ შორის. ეს ხელშეკრულება ისე გაფორმდა, თითქოს ჩვენ საერთოდ არ ვარსებობდით.

ჩვენთვის არავის არაფერი უკითხავს. სხვათა შორის, ფინანსთა მინისტრიც აღიარებს, რომ ეს კაბალური ხელშეკრულებაა და მისი გადახედვა შეიძლება.

ბატონი ნიკოლოზის თქმით, თუ ამ თანხას სახელმწიფო არ გადაიხდის, მაშინ ინდუსტრიიდან წელიწადში 5 მილიონი ლარი უნდა ამოიღონ.

**ნიკოლოზ ხუნძაკიშვილი:**

— თუ ეს ფული ჩვენ უნდა გადაგვახდევინონ, მაშინ მის დასაფარავად მინიმუმ 25 მილიონი ლარის პროდუქცია უნდა გავყიდოთ. ეს იმ პირობებში, როდესაც ლარის კურსის დევალვაციას აქვს ადგილი და როცა ხალხის მსყიდველობითუნარიანობა დაბალია. ეს ხომ ერთიანად შეჭამს ჩვენს მარჟებს? ან, მე რატომ უნდა გადავიხადო, როცა ადმინისტრირება სახელმწიფოს ფუნქციაა? ბოლოს კი ვიტყვი, რომ ერთი შეხედვით ყველაფერი რიგზეა: პრემიერ-მინისტრის და ჩვენი მინისტრების ნებისმიერი განცხადება ბიზნესის შესახებ, ქრესტომათიულია, მაგრამ პრაქტიკაში სულ სხვა რამ ხდება. მთავარი ოფიციალური განცხადებები კი არ არის, მთავარია, როგორ ექცევა ბიზნესს სახელმწიფო.

უალკოჰოლო სასმელების მარკირება ჩვენს ბიზნესს მხოლოდ ზიანს მოუტანს — აცხადებენ კომპანია „ნაბეღლავის“ წარმომადგენლებიც:

**ვიქტორია ჟიჟკო, კომპანია „ნაბეღლავის“ პიარსამსახურის უფროსი:**

— მე მგონი, გასაგებია, თუ რა ზიანს მოუტანს ბიზნესს ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა. სწორედ ამიტომ, ყველა კომპანია, რომელიც ამ დარგში საქმიანობს, მარკირების წინააღმდეგია. ჩვენ არაერთხელ ვცადეთ, ეს არგუმენტები ფინანსთა მინისტრისთვის გაგვეცნო, მაგრამ ნოდარ ხადურმა უარი თქვა შეხვედრაზე და ბიზნესის გარეშე მიიღო გადაწყვეტილება.

ფინანსთა სამინისტროს არანაირი არგუმენტი არა აქვს, თუ რისთვის არის საჭირო ამ ეტაპზე უალკოჰოლო სასმელების მარკირება, ამიტომ ჩვენ პრემიერთან ვითხოვთ შეხვედრას, რომ ჩვენი არგუმენტები გავაცნოთ და ეს ბრძანება გაუქმდეს.

რაც შეეხება სახელმწიფოსთვის მიყენებულ ზიანს, თუ მარკირებისთვის საჭირო ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს, მას ეს წელიწადში 5 მილიონი ლარი დაუჯდება. იმის გათვალისწინებით, რომ „ქამრების შემოჭერაზეა“ საუბარი, 5 მილიონის გადახდა უცხოური კომპანიისთვის რაღაც გაუგებარ რეგულაციაში გამართლებულ გადაწყვეტილებად არ მიგვაჩნია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტია ის, რომ აღრიცხვიანობის მოწესრიგება ჩვენ არ გვეხება: ჩვენთან 1 მილილიტრი პროდუქციაც კი ვერ ჩამოისხმება ისე, რომ არ გაკონტროლდეს.

ჯერ წყლის გადასახადი გაგვიზარდეს, ახლა ამას მარკირების ხარჯებიც დაემატება, მერე კიდევ სხვა რამ... დაგვერწმუნეთ, ეს ხარჯები ყველაზე უფრო მსხვილ, წელგამართულ ბიზნესსაც კი ურტყამს.

განსაკუთრებით მწვავედ აფასებენ უალკოჰოლო სასმელების მარკირებას მცირე კომპანიების წარმომადგენლები. შპს „ლაღიძის“ დირექტორმა თორნიკე ლაღიძემ შექმნილი სიტუაცია რამდენიმე წინადადებით შეაფასა.

**თორნიკე ლაღიძე:**

— თუ უალკოჰოლო სასმელების მარკირება დიდი ბიზნესისთვის არ არის მისაღები, მაშინ რაღა უნდა თქვან შედარებით მცირე ფირმებმა?! ეს იქნება ზედმეტი ხარჯი ნებისმიერი კომპანიისთვის, მით უმეტეს, საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისთვის. ამიტომ, ჩემი აზრით, ეს გადაწყვეტილება ბიზნესის სასიკეთოდ უნდა შეიცვალოს.

ბიპიენი

## ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტი 46%-ით შემცირდა



2015 წლის 8 თვის მონაცემებით, ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტი, წინა წელთან შედარებით, 46%-ით შემცირებულია.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2015 წლის იანვარ-აგვისტოს პერიოდში საქართველოდან მსოფლიოს 37 ქვეყანაში ექსპორტირებულია 19.860 452 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო. ექსპორტის მატებაა ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე: ყაზახეთი — 2%-ით (2.936.256 ბოთლი), ჩინეთი — 60%-ით (1.185.821), პოლონეთი — 1%-ით (1 020 394), ლატვია — 2%-ით (709.602), ლიტვა — 1%-ით (363.678), ესტონეთი — 37%-ით (297.432), გერმანია — 27%-ით (188.528),

აშშ — 26%-ით (155 744), კანადა — 89%-ით (120.180), იაპონია — 7%-ით (90.194), ყირგიზეთი — 23%-ით (79.080), კორეა — 221%-ით (24.054) და სხვა.

როგორც ღვინის ეროვნულ სააგენტოში აღნიშნავენ, მთელ რიგ ქვეყნებში ექსპორტის მატების მიუხედავად, რეგიონში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების გამო, 2 უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყანაში — რუსეთსა (-58%) და უკრაინაში (-63%) ექსპორტის მკვეთრმა კლებამ გავლენა იქონია ექსპორტის 8 თვის საერთო მონაცემზე, რაც 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 46%-ით შემცირებულია.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასეთია: რუსეთი — 10.111.948 ბოთლი, ყაზახეთი — 2.936.256, უკრაინა — 1.739.438, ჩინეთი — 1.185.821 და პოლონეთი — 1. 020.394.

ამასთან ერთად, საანგარიშო პერიოდში 16 ქვეყანაში ექსპორტირებულია 3 677.415 ბოთლი (0,5ლ) ბრენდი, 18 ქვეყანაში — 75.036 ბოთლი (0,5 ლ) ბოთლი ჭაჭა.

ბიპიენი

## „კაზინო აჭარის“ ხელმძღვანელობის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა შპს „კაზინო აჭარის“ მმართველი დირექტორის ვედრან ბაიატის, მონიტორინგის სამსახურის უფროსის ვიქტორ ტროიცკისა და იურიდიული პირის — შპს „კაზინო აჭარის“ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო.

უწყების ინფორმაციით, სისხლისსამართლებრივი დევნა სამორინეს სახელითა და მის სასარგებლოდ უკანონო სამეწარმეო საქმიანობისა და მოთამაშეთა კერძო საუბრის უნებართვო მიყურადება-ჩაწერის ფაქტზე მიმდინარეობს.

საგამოძიებო სამსახურის განცხადება:

— გამოძიებით დადგინდა, რომ შპს „კაზინო აჭარას“ მმართველი დირექტორი ვედრან ბაიატი, მიუხედავად სამორინეების საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვისა, არღვევდა ლიცენზირების პირობებს და სისტემატურად ახდენდა მოთამაშეებზე ფსონების დასადებად სესხების უკანონოდ გაცემას, რითაც შპს „კაზინო აჭარამ“ 7 თვის განმავლობაში მიიღო 12 მილიონ ლარზე მეტი უკანონო შემოსავალი.

ლიცენზირების პირობების დარღვევით საქმიანობის პარალელურად, მონიტორინგის სამსახურის უფროს ვიქტორ ტროიცკის ორგანიზებით, კაზინოს სათამაშო მაგიდებზე დამონტაჟებული მოსასმენი აპარატურის მეშვეობით, სამორინეს სახელითა და მის სასარგებლოდ, უკანონოდ მიმდინარეობდა მოთამაშეთა კერძო საუბრების მიყურადება, ჩაწერა და სერვერებზე შენახვა, კანონმდებლობით დადგენილი ნორმების, მოთამაშეთა უფლებებისა და ნების სრული იგნორირებით.

ლიცენზირების პირობების დარღვევით საქმიანობის პარალელურად, შპს „კაზინო აჭარა“ სისტემატურად თავს არიდებდა გადასახადების გადახდას. შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად, შპს „კაზინო აჭარას“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 19.269.277 ლარი.

გამოძიება აგრძელებს სამორინეს საქმიანობის შესწავლას მიღებული შემოსავლების კანონიერების, ფულის გათეთრებისა და გადასახადებისაგან თავის არიდების ფაქტების ირგვლივ.

იურიდიულ პირს შპს „კაზინო აჭარას“ ბრალდება წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლით — უკანონო სამეწარ-



მეო საქმიანობის განხორციელებისათვის და სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლით — კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევისთვის, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას, საქმიანობის უფლების ჩამორთმევას ან ლიკვიდაციას. ბრალდებულებს ვიქტორ ტროიცკის და ვედრან ბაიატს დატოვებული აქვთ საქართველოს ტერიტორია და თავს არიდებენ გამოძიებას.

ვედრან ბაიატისთვის უკანონო სამეწარმეო საქმიანობისათვის სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლით წარდგენილი ბრალდება სანქციის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას 1-დან 3 წლამდე, ხოლო ვიქტორ ტროიცკის ბრალდება წარდგენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლით — სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით კერძო საუბრის საიდუმლოების დარღვევისთვის, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 7 წლამდე და საქმიანობის უფლების ჩამორთმევას.

ბიპიენი

## თებერვლიდან ქართული თაფლი ევროპულ ბაზარზე გავა



სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია ფიქრობს, რომ მომდევნო წლის თებერვლიდან ქართულ თაფლს შეეძლება, გავიდეს ევროპულ ბაზარზე ქართული სერტიფიკატით, რომელიც იქნება საერთაშორისოდ აღიარებული. ამის შესახებ ოთარ დანელიამ ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა.

მინისტრის განცხადებით, მას სურს, მიულოცოს ყველა მეფუტკრესა და მთელ საქართველოს, ვინაიდან დაიწყო მეფუტკრეობის დარგის აღორძინების პროცესი. დანელიას განცხადებით, ეს არის მასშტაბური ღონისძიება, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელდება.

ოთარ დანელია:

— ჩვენ ასევე მივიღეთ კოოპერირების შესახებ ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს ყველა იმ გარემოებას, რომელიც დაგროვდა ჩვენს პრაქტიკაში მეფუტკრეების ხელშეწყობის კუთხით. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს 70%-იან

თანადაფინანსებას სახელმწიფოს მხრიდან როგორც არსებული, ისე მათთან დისტრიბუციის შედეგად მიღებული სკების იდენტიფიკაციას, რათა იყოს მიკვლევადი და დაცული ყველა ნორმა და სტანდარტი, რომელიც არის საერთაშორისოდ აღიარებული, — განაცხადა დანელიამ.

მისივე თქმით, შესაბამის კონსულტანტებს მოიწვევენ და დაიქირავებენ იმისათვის, რომ შესაბამისი კონსულტაციები გაუწიონ და შესაბამისი ღონისძიებები გატარდეს სტანდარტების მისაღწევად. სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადებით, სოფლის მეურნეობის ლაბორატორია 31 დეკემბრამდე უსასყიდლოდ მოახდენს თაფლის ინსპექტირებას, შემოწმებას და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას კოოპერატივებისთვის.

— ჩვენ ვფიქრობთ, მომდევნო წლის თებერვლისთვის ქართულ თაფლს შეეძლება, გავიდეს ევროპულ ბაზარზე ქართული სერტიფიკატით, რომელიც იქნება საერთაშორისოდ აღიარებული, — განაცხადა დანელიამ.

ბიპიენი

# სერგი კაპანაძე: ქვეყნის ეკონომიკური პრობლემების გასაღები ჩვენსავე საშინაო პოლიტიკაშია“

**„ინტერპრესნიუსი“ საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილ მოადგილეს, არასამთავრობო ორგანიზაცია „გრასის“ თანათავმჯდომარე სერგი კაპანაძეს ესაუბრა.**



***— ბატონო სერგი, მთავრობაში საკადრო ცვლილებების შესახებ სოციალურ ქსელში თქვენ მიერ გამოთქმულმა მოსაზრებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია.***

— ახალი არ გახლავთ ის, რომ საქართველოში ეკონომიკური დიპლომატია იყოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად დასახელებული. იგი ჩვენთან განსაკუთრებულად აქტუალური მაშინ ხდება, როცა ჩვენს ეკონომიკას უჭირს. იმის გამო, რომ ჩვენი ეკონომიკა დამოკიდებულია ინვესტიციებზე და ჩვენივე ვალუტის კურსი დამოკიდებულია დოლარის შემოდინებებზე, ამ პრობლემების გადასაჭრელად და ერთ-ერთ გამოსავლად ყოველთვის ეკონომიკური დიპლომატია სახელდება. ყოველ შემთხვევაში, მთავრობა აღიქვამს მას ერთ-ერთ გამოსავლად.

მაგალითად, გილაურის მთავრობაში ცალსახად იყო აღებული ეკონომიკური დიპლომატია ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად. სწორედ მაშინ დაიწყო ამ საქმეში ელჩების აქტიურად ჩართვა, რომ მათი საქმიანობა მეტად ყოფილიყო ფოკუსირებული ინვესტორებთან მუშაობაზე. მაშინ პირველად დაიწყო საელჩოებში მეტი ეკონომისტის გაგზავნა. იმის თქმა მინდა, რომ ეს ახალი არ არის. ის, რომ ახლა მოხდა მსგავსი რამ, ასევე ძალიან ლოგიკურია, ვინაიდან დღეს ჩვენს ეკონომიკას უჭირს.

ვიმეორებ, ის, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა იმუშაოს ინვესტორებთან, ამაში ახალი არაფერია.

როგორც წესი, პრობლემა არის, როდესაც საგარეო საქმეთა სამინისტროში ხელმძღვანელად ეკონომიკის მინისტრი მოდის, არ მოხდეს ამავე უწყებაში სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების უგულებელყოფა ანუ არ მოხდეს სხვა ტრადიციულად მნიშვნელოვან მიმართულებაზე ძალისხმევის მოდუნება. გამოუცდელ მინისტრსა და მთავრობას ეს შეიძლება მოუვიდეს. იმედი მაქვს, ჩვენს შემთხვევაში რაც საგარეო უწყების მართლა პრიორიტეტია, მათი დავიწყება არ მოხდება. ესენი გახლავთ ჩვენი ევროპული და ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაცია, დეოკუპაცია, რუსეთთან ურთიერთობები და ასე შემდეგ.

რაც შეეხება საკადრო ცვლილებას, ის, რომ კვირიკაშვილს არ აქვს დიპლომატიური საქმიანობის გამოცდილება, ეს უდავოდ მისი დიდი მინუსია. ეს გამოსწორებადია, მაგრამ საკმაოდ რთულია თავის დამკვიდრება კოლეგა მინისტრებში, თუ ლიდერობის, ეშხის, პროფესიონალიზმის და ა.შ. დეფიციტი გაქვს. მოახერხებს თუ არა კვირიკაშვილი ამას, მალე ვნახავთ. წინ გაერო-ს მაღალი დონის დებატები და ეუთო-ს და ნატო-ს მინისტერიალებია. ჩემი აზრით, კარგ მინისტრს უნდა ჰქონდეს სამი თვისება: იყოს კარგი მენეჯერი, კარგი მომლაპარაკებელი და ჰქონდეს ქარიზმა. აქედან მას რომელი აქვს და რომელი არა, სულ მალე გამოჩნდება.

***— თბილისში მორიგი ამბასადორიალი მიმდინარეობს და ამ თემაზე ბევრი აზრი გამოითქმის, მაგრამ თუ უკვე გაკეთებული კომენტარებით ვიმსჯელებთ, აშკარაა, რომ ჩვენი დიპლომატიური კორპუსი ეკონომიკაზე ორიენტირებული დიპლომატიის გატარებისათვის მზად არ უნდა იყოს.***

თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ჩვენი საგარეო უწყების მიერ წარმოებული ეკონომიკაზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკა წარმატებული აღმოჩნდეს?

— ახლა როცა, ინვესტიციების აშკარა ნაკლებობა გვაქვს, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არ გახლავთ დიპკორპუსის მზაობა და ამ საკითხებთან მიმართებით მათი ფორმაში ყოფნა. ელჩი არ არის ეკონომისტი. დიპლომატიურ მისიაში შეიძლება იყოს ერთი-ორი ეკონომისტი, მაგრამ საელჩოების იმაზე გადაწყობა, რომ მათ მარტო ინვესტიციებზე იმუშაონ, არ არის არც სწორი და არც გაამართლებს. პრობლემა სხვა რამეშია. ინვესტორებს შესაძლოა, პრობლემები იმის გამო კი არ შეექმნას, რომ ჩვენ ცუდი დიპლომატები გვყავს, არამედ იმის გამო, რომ ქვეყნის შიგნით არ ხდება ინვესტორებისთვის ხელშეწყობა.

როცა იღებენ კანონს, რომელიც კრძალავს მიწის გაყიდვას, მკაცრდება რეგულაციები ქვეყნის შიგნით, არის სრულიად გაუგებარი სავიზო პოლიტიკა, 9 თვის განმავლობაში შემოაქვთ შეზღუდვები, შემდეგ ამ შეზღუდვების ნაწილს ხსნიან, ასეთი ტიპის ნაბიჯებისა და არათანმიმდევრული პოლიტიკის გატარების პირობებში ძნელი წარმოსადგენია, რომ სერიოზულმა ინვესტორმა საქართველოში საქმის კეთებაზე იფიქროს ანუ ასეთ ვითარებაში ინვესტორის მოზიდვა სულ უფრო ძნელი ხდება. ასეთ ვითარებაში მარტო დიპლომატიის იმედად ყოფნა, გულუბრყვილობა იქნებოდა. თუ ამ საკითხების მიმართ მიდგომები მთავრობამ არ შეიცვალა, რაც არ უნდა გენიოსი, ეკონომიკური განათლების ელჩები გვყავდეს, რეალურად არც არაფერი შეიცვლება.

ჩემი აზრით, ახლა, ეს არის ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა, რაც რეალურად აისახება ჩვენს ეკონომიკაზე.

კარგია, რომ ხელისუფლებას უნდა, დიპლომატიის ერთ-ერთი პრიორიტეტი ეკონომიკა იყოს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ქვეყნის ეკონომიკური პრობლემების გასაღები არა ჩვენს ეკონომიკურ დიპლომატიაში, არამედ ჩვენსავე საშინაო ეკონომიკურ პოლიტიკაშია. ამიტომ, მე ამ თემაზე დაწყებული საუბრის პერსპექტივას ცოტა სკეპტიკურად ვუყურებ. როცა საგარეო უწყება ასეთ კურსს იღებს ხოლმე, შემდეგ ჩნდება სხვა საფრთხე, კერძოდ, ელჩებზე ხდება ზეწოლა, სწორედ ამ კუთხით იმუშაონ და გვერდზე რჩება ის, რაც მართლა მათი საქმეა. ვფიქრობ, რომ ეკონომიკური პრობლემების დასაძლევად მთავრობამ გამოსავალი სხვა სფეროებში უნდა ეძებოს.

**თუ ქვეყნის შიგნით არ შეიცვალა ის ტენდენციები, რომლებიც ეკონომიკის განვითარებას უკავშირდება, რაც არ უნდა გვქონდეს აქცენტი გაკეთებული ეკონომიკურ დიპლომატიაზე, რეალურ შედეგს მაინც ვერ მივიღებთ.**



**ძალიან მნიშვნელოვანია ინვესტორების მოზიდვაში პრემიერ-მინისტრისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირების აქტიურობა, პირადი კავშირების გამოყენება. არადა, ვიცი კონკრეტული შემთხვევები, როცა მსხვილი ინვესტორი საქართველოში ჩამოვიდა, ჰქონდათ სურვილი, შეხვედროდნენ ივანიშვილს, ვინაიდან მათაც იციან, რომ გადაწყვეტილებებს ის იღებს, ვიცი, რომ ამგვარ შეხვედრას თვეების განმავლობაში ელოდნენ.**

აქვე ვიტყვი იმასაც, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ინვესტორების მოზიდვაში პრემიერ-მინისტრისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირების აქტიურობა, პირადი კავშირების გამოყენება. არადა, ვიცი კონკრეტული შემთხვევები, როცა მსხვილი ინვესტორი საქართველოში ჩამოვიდა, ჰქონდათ სურვილი, შეხვედროდნენ ივანიშვილს, ვინაიდან მათაც იციან, რომ გადაწყვეტილებებს ის იღებს, ვიცი, რომ ამგვარ შეხვედრას თვეების განმავლობაში ელოდნენ. როცა ასეთი მიდგომებია ქვეყანაში, ძალიან ძნელია, სერიოზულად ესაუბრო პოტენციურ სერიოზულ ინვესტორებს.

2012 წელს ჩვენ ამერიკელებთან გვქონდა მაღალი დონის შეხვედრა, რომელზეც აშშ-ის პრეზიდენტმა თქვა, რომ საქართველოსა და აშშ-ს უნდა ჰქონდეთ მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები, მათ შორის თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობა. იმის შემდეგ სამწელიწად-ნახევარი გავიდა და ამ მხრივ არაფერი მომხდარა. მაშინ ამ თემაზე მოლაპარაკებები არ დაწყებულა, მაგრამ ითქვა, რომ ამ თემაზე მაღალ დონეზე დიალოგი უნდა დაწყებულიყო.

ამ მიმართულებით 2013 წლიდან არც არაფერი გაკეთებულა და ნაბიჯიც კი არ გადადგმულა. პრობლემა ის არის, რომ აშშ-სთან მაღალი დონის შეხვედრებზე ეს საკითხი ჩვენი მხრიდან არც კი დასმულა. არადა, რადგან აშშ-ის პრეზიდენტმა თქვა ამის შესახებ, ამ მიმართულებით წინ რომ გადაგვედგა ნაბიჯი, ამის ალბათობა რეალურად არსებობდა. ასეთი ტიპის ბონუსის არგამოყენება განა შეიძლებოდა? ესაა პრობლემა.

იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც გვაქვს კარგი სავაჭრო ურთიერთობა ან არის პოტენციალი ამგვარი ურთიერთობების გაზრდის, აუცილებელია სავაჭრო წარმომადგენლობების გახსნა.

გასაგებია, რომ ეს ხარჯებთან და ადამიანურ რესურსებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ამის თაობაზე პოლიტიკური გადაწყვეტილებებია მისაღები. მიმაჩნია, რომ აშშ-ში საქართველოს სავაჭრო წარმომადგენლობა უნდა არსებობდეს. ასევე შეიძლება გვქონდეს სავაჭრო წარმომადგენლობა თურქეთში, უკრაინაში, ცენტრალურ აზიაში.

მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს არ იქნება გამოსავალი. თუ ქვეყნის შიგნით არ შეიცვალა ის ტენდენციები, რაც ეკონომიკის განვითარებას უკავშირდება, რაც არ უნდა გვქონდეს აქცენტი გაკეთებული ეკონომიკურ დიპლომატიაზე, რეალურ შედეგს მაინც ვერ მივიღებთ.

***— თქვენი აზრით, რას შეიძლება ნიშნავდეს ის, რომ პრემიერმა ღარიბაშვილმა თამარ ბერუჩაშვილის დასაქმება საგარეო საქმეთა ახალ მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს დაავალა?***

— ფორმა რომ უხერხული იყო, ამაზე ყველანი ვთანხმდებით. არ არის სასიამოვნო, როდესაც ასეთნაირად ხსნი მინისტრს და არაფერს ამბობ მის მომავალ საქმიანობაზე. ასევე დამამცირებელია ის, რომ ყოფილი მინისტრის დასაქმება ახლად დანიშნულ მინისტრს დაევალა. და მაინც, ეს შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ ქალბატონი თამარი დიპლომატიის სფეროში გააგრძელებს საქმიანობას. შესაძლოა, ფორმა მართლაც უხერხული იყო, მაგრამ შინაარსი ასეთი იყო, რომ რომელიმე ქვეყანაში ელჩად გააგზავნიან.

რამდენადაც ვიცი, ელჩის რამოდენიმე ვაკანსია ნამდვილად არსებობს. ნებისმიერ შემთხვევაში ბერუჩაშვილზე საუბარი რომ უხერხულად იქნა აღქმული, ეს ცალსახაა. რატომ მოხდა ან რამ განაპირობა ეს საკადრო ცვლილება, არ ვიცი.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ერთი კვირა ამ ცვლილებაზე საუბარი იყო, ჩემთვის ძნელია ბერუჩაშვილის გათავისუფლების რეალურ მიზეზებზე საუბარი. ამას ლოგიკური ახსნა არ აქვს, ვინაიდან ბერუჩაშვილს მუშაობისას თუ დიდი ფუნდამენტური წარმატება არა, არც დიდი ჩავარდნა არ ჰქონია.

***— დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობების გაუარესება ყოველთვის ცუდად აისახება საქართველოზე. ამჯერად რისი მოლოდინი შეიძლება გვქონდეს?***

— საქართველოს სხვა გამოსავალი, იმის გარდა, რომ გაატაროს აგრესიული ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკა, არ აქვს. აშშ-ში არჩევნებისა და სხვა მიზეზების გამო რომ ე.წ. ლუფტები იქმნება, ჩვენ როგორც წესი, ამ პერიოდში ვპასიურდებით ანუ ველოდებით, დიდი ქვეყნები რას გადაწყვეტენ. ასეთ დროს ჩვენ სწორედ მაშინ ვაგებთ ყველაზე მეტად.

ჩვენნაირი ქვეყნებისთვის ეს პერიოდი არის ყველაზე კრიტიკული პერიოდი. ამ პერიოდში ჩვენ უნდა ვიყოთ ჰიპერაქტიურები. ჰიპერაქტიური უნდა იყოს ჩვენი დიპლომატია, ხელისუფლება, რომ არ უნდა მოდუნდეს ქვეყანა და არც სხვას მისცეს ჩვენთან მიმართებაში მოდუნების საშუალება.

რუსეთთან ურთიერთობების ძიება ცუდი არ არის, მაგრამ მისი პრობლემა ისაა, რაც ჩვენ დღეს გვაქვს და იგი დღითი დღე იზრდება. ვგულისხმობ იმას, რომ მუდმივად იქმნება შთაბეჭდილება, საქართველოსა და რუსეთს შორის პრობლემური საკითხები საერთაშორისო დღის წესრიგისთვის აღარ არსებობს. ეს არის ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება ჩვენ მოგვივიდეს. ეს იმდენად სახიფათო რამეა, რომ პირდაპირ უშლის ხელს კრიზისულ პერიოდებში ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვას. ასე იმიტომ ხდება, რომ იქმნება ილუზია, თითქოს საქართველო და რუსეთი ერთმანეთში პრობლემებს აგვარებენ, არის პოზიტიური დინამიკა. ასეთ ვითარებაში რუსეთის გააგრესიულების შემთხვევაში ძნელია ჩვენი პარტნიორების გააქტიურება, ვინაიდან ისინი არჩევნების გამო ისედაც პასიურ ვითარებაში იმყოფებიან. ძნელია მათი დარწმუნება, რომ ახლა მნიშვნელოვანია მათი გააქტიურება და ასე შემდეგ. იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი ქცევა ჩვენთვისვე ხდება კონტრპროდუქტიული.

**კობა ბენდელიანი**
**„ინტერპრესნიუსი“**

## შსს-მ ჰააგის ინტერპოლის მიერ ძებნილი პირი დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ჰააგის ინტერპოლის მიერ 2014 წლიდან ძალადობრივი ქურდობის, გამოძალვის და დამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქურდობისთვის საერთაშორისო დონეზე ძებნილი, ეროვნებით ქართველი, ნიდერლანდების სამეფოს მოქალაქე, 1993 წელს დაბადებული ლევან ბ. თბილისში დააკავეს.

ლევან ბ. 2012 წლის 24 ივლისს ჰოლანდიაში, ოქსმერიის მუნიციპალიტეტში, თანამზრახველებთან ერთად თავს დაესხა ჰოლანდიის მოქალაქეს, რომელსაც იარაღის მუქარითა და ძალის გამოყენებით გასტაცა პლასტიკური ბარათი, სამკაული, მობილური ტელეფონები, ანტიკვარული კედლის საათი და 1250 ევრო. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

ლევან ბ. გადაყვანილია დროებითი მოთავსების იზოლატორში, მიმდინარეობს წინასაექსტრადიციო პროცედურები.

## შსს-მ 28 აბი სუბუტექსი“ ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სენაკის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1955 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გარლამ გ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 28 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსი“ ამოიღეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით).

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზირებული სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საგულისხმოა და მყარია.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# სამეფო კლუბში დრონი მეფობენ



18 წლის იკერი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდა. ეს მართლაც სასწაული იყო. მადრიდის რეალმა ფინალში ვალენსია დაამარცხა და მერვედ დაეუფლა გუნდი ამ ტიტულს. ამ გამარჯვების მონაწილე გახლდათ იკერიც.

თუმცა, ყველაფერი ისე რომ არ ხდება, როგორც გვინდა. ეს კასილიასის მაგალითზეც შეგვიძლია ვნახოთ. მან დაკარგა ადგილი გუნდში და გადაინაცვლა სათადარიგოთა სკამზე. ეს ყველაფერი ძალიან მალე მოხდა და რეალის კარს ახლა უკვე სეზარი იცავდა. მაგრამ რეალი კვლავ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში და დადგა ლევერკუზენთან ფინალის დღეც.

სეზარმა მეორე ტაიმში ტრავმა მიიღო. მწვრთნელი იძულებული გახდა, მოედანზე იკერი გამოეყვანა. სწორედ აქედან დაიწყო სასწაული, რომელიც ფეხბურთში არცთუ ისე ხშირად ხდება. იკერმა ზედიზედ რამდენიმე სეივი განახორციელა და რეალი კვლავ ლიგის გამარჯვებული გახადა.

კასილიასი 1999 წლიდან იცავდა რეალის ღირსებას და სამეფო კლუბის განუყოფელი ნაწილი იყო. ლა ლიგაში მან სულ 510 მატჩი ჩაატარა, ნაკრებში — 162.

ზედიზედ 4 წლის განმავლობაში იკერ კასილიასი 2 უდიდესი ჩემპიონატის 3 ოქროს მედალს დაეუფლა. 2008 წელს ესპანეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი მოიგო მოიგო, შემდეგ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, ხოლო ბოლოს, 2012 წელს, მათ კვლავ შეძლეს ევროპაში პირველობის მოპოვება.

საკლუბო ტიტულები უფრო შორს წაგვიყვანს:

1999-2000 წლებში, თავის პირველსავე სეზონში იკერ კასილიასმა კლუბთან ერთად ევროპის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო, ჩემპიონთა ლიგა მოიგო;

შემდეგ სეზონში უკვე ესპანეთის ჩემპიონატის ჯერი დადგა, მეკარემ თანაგუნდელებთან ერთად ლა ლიგის ოქროს მედალი მოიპოვა. ამავე წელს, რეალს ესპანეთის სუპერთასის მოგებაც არ გასჭირვებია;

2001-02 წლის სეზონი, ალბათ, განსაკუთრებით კარგი იყო კასილიასის კარიერის პირველ ნაწილში. მისი ოქროს მედლების დახლი კიდევ სამი ჯილდოთი შეივსო. ჩემპიონთა ლიგის ლეგენდარულ ფინალში ლევერკუზენის წინააღმდეგ, ორი წლის წინანდელი მიღწევა გამეორდა, ამას უეფას სუპერთასიც მიჰყვა და რეალმა არც ინტერკონტინენტალური თასი დაუთმო ვინმეს;

2002-03 წელს კასილიასმა ლა ლიგის მოგება კვლავ იზეიმა, რასაც კიდევ ერთხელ ესპანეთის სუპერთასი მოჰყვა;

2006-07 წლის სეზონში ლა ლიგის კიდევ ერთხელ მოგება შეძლო;

იგივე წარმატება გაიმეორა რეალმა 2007-08 წლების სეზონში, ოღონდ ამჯერად ესპანეთის სუპერთასიც დაამატა;

2010-11 წლების სეზონში იკერმა და მისმა გუნდმა ბარსელონასთან წაგებების მრავალმატჩიანი სერია ესპანეთის სამეფო თასის ფინალში დაასრულეს და, კარიერაში პირველად მეკარემ ეს ჯილდოც მოიპოვა;

2011-12 წლის სეზონში გუნდმა კიდევ ერთხელ მოიპოვა ლა ლიგას თასი და ესპანეთის სუპერთასი;

2013-14 წლებში უკვე ოთხი ჯილდო მიიღო კაპიტანმა. ამჯერად კოპა დელ რეი ესპანეთის მასშტაბით, ხოლო ჩემპიონთა ლიგა ევროპის მასშტაბით, ამ უკანასკნელს კი უეფას სუპერთასი და ფიფას საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატიც მოჰყვა;

მეკარის კვალობაზე იკერის მიღწევები მართლაც ძალიან შთამბეჭდავია. მას კიდევ ექნება შანსი, იბრძოლოს უმაღლესი ჯილდოებისთვის. ესპანეთის ნაკრების „ოქროს ხანა“ მის სახელს უკვე უკავშირდება, ასე რომ, ამ ნაკრების გულშემატკივრებისთვის იგი ნამდვილი ლეგენდაა.

ლეგენდად დარჩება რეალშიც, თუმცა იქ თამაში აღარ მოუწევს — მადრიდულმა კლუბმა მისი სამსახური აღარ ისურვა და იკერიც პორტუში წავიდა.

სამეფო კლუბში დრონი მეფობენ.

# ზაზა ფაჩულია: ეს არავის ნაკრები არ არის. ესაა ჩვენი ქვეყნის, საქართველოს ეროვნული გუნდი“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თან საუბარი სწორედ ამ მომენტით იწყება.

**ზაზა ფაჩულია:**

— ჩვეულებრივი ეპიზოდი იყო, თანაგუნდელის აცილებულს დავამატე, ბურთი არ ჩაეშვა, მეორედაც დავამატე და, სამწუხაროდ, ისევ არ ჩაეშვა... მესამე სროლა მსაჯმა არ ჩათვალა.

***— ტელემაყურებელთა უმეტესობა იმას ამტკიცებს, რომ დროში ჩაეტიე.***

— მსაჯმა ბურთი არ ჩათვალა, ე.ი. არ ითვლებოდა.

***— ბურთი რომ ჩათვლილიყო, იტალიას ვუგებდით. მიუხედავად მარცხისა, ალბათ, დამეთანხმები, რომ ეს იყო ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი, მით უფრო, თუ გავიხსენებთ 16 აგვისტოს იტალიელებთან თბილისში 20 ქულით წაგებულ შეხვედრას.***

— ტრიესტის ტურნირი საქართველოს ნაკრებისთვის კარგი იყო. გუნდი არის უკეთეს ფორმაში, ვიდრე თბილისში ჩატარებული ტურნირისას. ამიტომაც ბუნებრივია, რომ ტრიესტში უკეთესად ვითამაშეთ იტალიასთან, ვიდრე თბილისში.

***— გუნდი ოპტიმალურ ფორმაშია?***

— ასეთ ფორმაში გუნდი კარგი ხანია არ ყოფილა. შედეგები გვერდზე გადავდოთ, ეს ამხანაგური შეხვედრები იყო. 5 თამაში მოვიგეთ, 5 წავაგეთ, მაგრამ, ყველაზე სასიხარულო ისაა, რომ გუნდში სერიოზული ტრავმა არაა. ერთი თორნიკე შენგელია იყო, რომელსაც ტრავმა აწუხებდა და ისიც შემოგვიერთდა. უნდა გამოვიყენოთ ეს მომენტი და ზედიზედ მესამე ევროპის ჩემპიონატზე დროა, ვაჩვენოთ კარგი შედეგი.

***— იტალიასთან მატჩში და ზოგადად ბოლო თამაშებში ჩანს, რომ ნაკრები განსხვავებულ და შედეგიან დაცვას თამაშობს.***

— როცა 91 და 81 ქულას მიიღებ, არ შეიძლება დაცვის წარმატებაზე საუბარი. თუ გინდა, შედეგს მიაღწიო, თამაშები მოიგო, დაცვა უნდა გყავდეს საიმედო. რომ ვლაპარაკობთ შედეგზე, ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირში გასვლაზე, იქ შეტევით ვერ მოხვდები, დაცვა თუ არ გყავს სათანადო დონეზე.

***— ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს პირველი მეტოქე ჰოლანდიაა, რომელიც ტურნირის ფავორიტებს არ განეკუთვნება.***

— მწარედ მახსოვს ჰოლანდიასთან 3 წლის წინ ჩატარებული მატჩი, რომელიც ჩვენი მოსაგები იყო და ამას მასპინძლებიც აღიარებდნენ. იმ განწყობით შევხვდით მეტოქეს, რომ მაინც მოვუგებდით და ამან წაგვაგებინა. ყოველ მეტოქეს ისე უნდა შეხვდე, თითქოს გრანდს ეთამაშები. ჰოლანდიელებს ჰყავთ როგორც ტანმაღალი, 4-5 ნომრები, ისე პერიმეტრის სწრაფი მოთამაშეები და მსროლელები. მებრძოლი და სწრაფი ნაკრებია. ბრძოლა გვმართებს, რომ მოვუგოთ. იმედი მაქვს, ტრადიციას არ დავარღვევთ და ზედიზედ მესამე ევროპის ჩემპიონატს გამარჯვებით დავიწყებთ.

***— ჩვენს კიდევ ერთ მეტოქე სლოვენიას რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლია, თუმცა ამხანაგურ მატჩებში საკმაოდ შედეგიანად ასპარეზობს.***

— სლოვენია ძლიერი ნაკრებია, დაბალანსებული შემადგენლობა ჰყავს. გასულ სეზონში მილუოკიში ისე იყო ჩვენი გუნდი დაბალანსებული, ვინც არ უნდა ამოვარდნილიყო შემადგენლობიდან, გუნდი იმავე წარმატებით აგრძელებდა თამაშს. ასეთი გუნდია სლოვენიაც. ამ ქვეყანას აქვს იმის ფუფუნება, რომ ჰყავდეს ბევრი კარგად გაწვრთნილი, უნივერსალური მოთამაშე, რომლებიც მზად არიან, ეროვნულ ნაკრებში გამოძახების შანსი გამოიყენონ.

***— მილუოკიში თქვენი თანაგუნდელი იანის ანტეტოკუმბო საბერძნეთის ნაკრებში ჩვენი მეტოქე იქნება.***

— ანტეტოკუმბოსთან კავშირი ახლაც მაქვს, ვიცი, რომ საბერძნეთის ნაკრებში ახლა უკეთესად თამაშობს. ახალგაზრდა კალათბურთელია და სწრაფად პროგრესირებს, ბევრი პლუსი აქვს, რომელთა დახვეწაზე კიდევ ბევრს მუშაობს. ძალიან სასიამოვნო იყო მასთან ერთად მოედანზე ყოფნა. იმიტომ, რომ ბევრ ისეთ საქმეს აკეთებდა, რომ მე მიადვილებდა თამაშს. ანტეტოკუმბო იმდენად ეფექტურად ამთავრებდა შეტევებს, რომ მისთვის გადაცემული პასებით მეც კარგად გამოვჩნდებოდი ხოლმე. სამწუხაროა, რომ გუნდელები აღარ ვართ, მაგრამ კალათბურთი ბიზნესია, არასდროს იცი, მეორე დღეს სად მოგიწევს წასვლა.




ერთმანეთის მეურვეობა არ მოგვიწევს, მაგრამ პროფესიონალობა ის არის, რომ როცა მოედანზე გადიხარ, ყოველგვარი მეგობრობა გვერდზე გადადი. ამ დროს ჩემი მეგობარია მხოლოდ ის, ვისაც გულზე ჯორჯია აწერია.

***— რომელ 3 გუნდს მიიჩნევთ ევრობასკეტის ფავორიტად?***

— ევრობასკეტის მოგების მთავარ ფავორიტად ფრანგებს დავასახელებდი. ძლიერი გუნდიც ჰყავთ და აქვთ კიდევ ერთი უპირატესობა — შინ ითამაშებენ. ფრანგებს ჩვენც დავუპირისპირდით და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ძალიან მაღალი დონის კალათბურთელები ჰყავთ.

მეორე ადგილზე სერბეთის ნაკრებს დავასახელებდი.

სამეულში ჩვენი ჯგუფიდან ერთ-ერთს შევიყვანდი — ხორვატიას ან საბერძნეთს. უფრო საბერძნეთს.

რაც შეეხება ესპანეთის ნაკრებს, ამ წელს მას სამ საუკეთესოს შორის არ ჩავსვამდი.

***— რას ეტყოდით საქართველოს ნაკრების გულშემატკივრებს?***

— როგორც ნაკრების კაპიტანს, ქართველი გულშემატკივრის მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ხორვატია საქართველოს გვერდით რომ იყოს, ყველაფერი იოლი იქნებოდა. სლოვენიელებისთვის ძალიან მარტივია, დასხდნენ მანქანებზე, ჩავიდნენ ზაგრებში, დაესწრონ მათი ნაკრების თამაშს და შემდეგ ისევ შინ დაბრუნდნენ. ქართველ ქომაგს კი დიდი ხარჯის გაწევა უწევს ზაგრებში ჩამოსასვლელად და ჩვენს საგულშემატკივროდ. კალათბურთელებზე ამბობენ, მამულიშვილები, თავდადებულები არიანო. მინდა, იგივე სიტყვები გამოვიყენო ყველა გულშემატკივრის მისამართით, ვინც ხორვატიაში ჩამოვა და ვინც საქართველოდან დაგვიჭერს მხარს.

***— მომავალ სეზონში დალას მავერიკსში ითამაშებთ, სადაც გუნდელად დირკ ნოვიცკი გეყოლებათ, გუნდს კი გაცილებით დიდი ამბიციები ექნება.***

— ბოლო დროს მთლიანად გადმორთული ვარ საქართველოს ნაკრებზე, შესაბამისად, ნოვიცკიზე იმდენად ვერ ვფიქრობ, რამდენადაც ჩემს გუნდელებზე, აქაურ კომბინაციებზე, დაცვაზე, შეტევაზე.

ჩემი დალასში გადასვლის ამბავი რომ გავიგე, არც მეწყინა და არც გამიხარდა. სადღაც შუალედში ვიყავი, შერეული გრძნობა დამეუფლა. მეწყინა და გამიხარდა კიდეც. მეწყინა ის, რომ მილუოკურ გარემოს უნდა მოვცილებოდი, რომელსაც ბოლო ორ წელიწადში ძალიან შევეჩვიე. მეორე მხრივ, როცა ვფიქრობ, სად მივდივარ, ვის გვერდში მომიწევს თამაში, სხვა ყველაფერი მავიწყდება.

დალასს ჩამოყალიბებული იმიჯი აქვს — ყოველთვის ჩემპიონობისთვის იბრძვის. ერთი სული მაქვს, როდის ჩავერთვები გუნდის მზადების პროცესში. თუმცა მანამდე უმნიშვნელოვანესი მისია მაკისრია — საქართველოს სახელი ევრობასკეტზე უნდა დავიცვა. რომ ვთქვა, მეჩქარება ამერიკაში წასვლა-მეთქი, არ იქნება მართალი, რადგან საქართველოს ნაკრებში თამაშით დიდ სიამოვნებას ვიღებ და ნამდვილად არ მინდა, ეს ყველაფერი მალე დამთავრდეს.

***— მალე თბილისში, დიდუბის მანეჟში, ზაზა ფაჩულიას აკადემია გაიხსნება.***

— რაც შეეხება ზაზა ფაჩულიას აკადემიას, თბილისში ნათქვამს ვერაფერს დავამატებ. რადგან, რაც უფრო ახლოვდება სანაკრებო მატჩები, მით მეტად ვარ ჩართული და ნაკლები დრო მრჩება სხვა ივენთებისთვის. მაგის დროც მოვა. მილუოკის პარკეტი გზაშია, დაახლოებით ერთ კვირაში საქართველოში იქნება. მისი დაგება ჩემს აკადემიაში მაქვს გადაწყვეტილი.


## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

### მკურნალობა

● ექიმი-სპეციალისტი ვმკურნალობ კარგი შედეგით მამაკაცებში სათესლე ჯირკვლების, ასოს, შარდსადინარისა და პროსტატის ყველა ფორმის დაავადებას, სექსუალურ უძლურებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ყველა ზომის „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება — მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიები) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# სირიაში რუსული ტანკები და რუსი ჯარისკაცები გამოჩნდნენ



სირიაში რუსი ჯარისკაცები და რუსული ტანკები გამოჩნდნენ. ამის შესახებ იუწყება სირიული გაზეთი, რომლის უკანაც რადიკალური ისლამური დაჯგუფება ალ ნუსრა დგას.

— ესაა ექსტრემისტული ორგანიზაცია, ანუ ალ ქაიდას სირიული ფილიალი, —იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

### კრემლი უარყოფს, გენერლები ადასტურებენ

რამდენიმე დღის წინ ბაშარ ასადმა განაცხადა, რომ მალე სირიაში რუსეთ-ირანის გაერთიანებული ჯარი შემოვა. ექსპერტები თავის მხრივ ხაზს უსვამდნენ, რომ მოსკოვს საიდუმლოდ ეწვია ირანის სამხედრო დაზვერვის უფროსი. ის ვლადიმერ პუტინს შეხვდა. საუბარმა ოთხსაათ-ნახევარს გასტანა.

— ირანის დაზვერვის არავითარი შეფი მოსკოვში არ ჩამოსულა! ჩვენ არავისთან ომს არ ვაპირებთ! — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ პესკოვმა.

თავის მხრივ, რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების სარდალმა, გენერალმა შამანოვმა შეკითხვაზე, რამდენად მართალია, რომ მოსკოვს ირანის სამხედრო დაზვერვის შეფი ესტუმრა, ფრიად ორიგინალური პასუხი გასცა. შეიძლება ასეა, შეიძლება არაო. შეკითხვაზე, აპირებს თუ არა რუსეთი სირიაში ჯარის შეყვანას, შამანოვმა მიუგო:

— ჩვენ მზად ვართ საერთაშორისო ტერორისტების წინააღმდეგ ვიბრძოლოთ!

### გაურკვეველი ფოტოები

ინფორმაცია სირიაში რუსული თვითმფრინავებისა და ჯარისკაცების გამოჩენის შესახებ ალ-ნუსრამ გაავრცელა. ფოტოები „ვაშინგტონ პოსტის“ ფურცლებზე მოხვდა. ისინი მართლაც ძალზე ბუნდოვანია და ხეირიანად არაფრის გარჩევა არ შეიძლება.

— ამ ფოტოებზე დაყრდნობით შეუძლებელია ვთქვათ, მართლა გამოჩნდნენ სირიაში რუსები თუ არა, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

პენტაგონის წარმომადგენელმა ელის სმიტმა შეკითხვაზე, მართალია თუ არა, რომ სირიაში რუსი ჯარისკაცები გამოჩნდნენ, მიუგო:

— ამის თაობაზე ინფორმაცია არა მაქვს!

### რუსები სირიაში მართლაც არიან

სირია ერთადერთ ქვეყანაა, სადაც სსრკ-ს დროინდელი რუსული ბაზა შემორჩა. ნაშარ ასადის პერსონასაც რუსეთისათვის სიმბოლური მნიშვნელობა გააჩნია. რუსების უმრავლესობისათვის ის არა მხოლოდ ერთგული მოკავშირე, არამედ გარდასული დიდების მოგონებაცაა!

— ასადის ხელისუფლებაში დარჩენა რუსეთის ღირსების საქმეა, — აცხადებს ცნობილი კინო-რეჟისორი ნიკიტა მიხალკოვი.

რუსი სამხედრო მრჩევლები სირიაში მუდამ იყვნენ, თუმცა აქტიურად სამხედრო მოქმედებებში არ ერეოდნენ. უკანასკნელ ხანს სირიაში რუსული უპილოტო თვითმფრინავები გამოჩნდნენ. შემდეგ ამას რუსული ტანკების გამოჩენაც მოყვა.

— როგორც ჩანს, რუსეთი სირიაში მყოფ თავისი სამხედრო კონტინგენტის გაზრდასა და გააქტიურებას ლამობს, — იტყობინება ბი-ბი-სი.

როგორც სირიელი მეამბოხეები, ისე რიგი ქვეყნების სპეცსამსახურები ამტკიცებენ, რომ სირიაში ე.წ. „მწვანე კაცები“ ანუ რუსული სპეცდანიშნულების ნაწილების მებრძოლები გამოჩნდნენ. ისინი უკვე საომარ მოქმედებებშიც მონაწილეობენ. ჯერჯერობით მათი რაოდენობა მცირეა, თუმცა არსებობს ინფორმაცია, რომ უახლოეს დღეებში სირიის სამხედრო აეროდრომებზე რუსული სამხედრო თვითმფრინავები დაეშვებიან.

— ისინი „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციებზე საჰაერო დარტყმებს განახორციელებენ, — იტყობინება „ამერიკის ხმა“.

### პუტინი ვაჭრობს?

ექსპერტების უმრავლესობის აზრით, სირიაში რუსი მედესანტეების მხოლოდ მცირე რაოდენობა გამოჩნდა. ამით პუტინი დასავლეთს მიანიშნებს, რომ მზადაა „ერაყისა და ლევანტის სახელმწიფოსთან“ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს. სამაგიეროდ, დასავლეთმა, უწინარეს ყოვლისა კი აშშ-მ, უკრაინის მხარდაჭერაზე უარი უნდა განაცხადოს.

— პუტინის პოზიცია მტკიცეა: ის ამბობს , რომ უკრაინა ფედერალურ სახელმწიფოდ უნდა გადაიქცეს და რუსული გავლენის სფეროში მოექცეს. რაც შეეხება ყირიმს, ყველა უნდა შეეგუოს იმას, რომ ნახევარკუნძული რუსეთის შემადგენლობაში შევიდა, — იტყობინება 112 არხი.

სირიაში ტერორისტების გააქტიურება ევროპას უკვე სერიოზულ პრობლემებს უქმნის. „ერაყისა და ლევანტის ისლამურ სახელმწიფოს“ ტერორმა უამრავი ადამიანი აიძულა სამშობლოდან შორს გადახვეწილიყო. ყველა მათგანი ცდილობს, დასავლეთ ევროპაში, კერძოდ გერმანიაში, ინგლისში ან საფრანგეთში მოხვდეს, სადაც არის კანონის უზენაესობა, კეთილდღეობა, დაცულია ადამიანის უფლებები. ამდენი ლტოლვილის მიღება ევროპას არ შეუძლია. შესაბამისად, ბევრი პოლიტიკოსი და ექსპერტი მიესალმება იმას, რომ რუსეთი სირიაში ტერორისტებთან ბრძოლაში უფრო აქტიურად ჩაერთვება.

— თუკი რუსეთი სირიაში ჯარს შეიყვანს, ეს ნამდვილი რევოლუციური გარღვევა იქნება, —წერს ცნობილი ექსპერტი არაბისტი კონსტანტინე ფონ ეგერტი.

### რა მოხდება შემდეგ?

როგორც მოსალოდნელი იყო, პუტინის დასავლეთთან ვაჭრობა მარცხით დამთავრდა. რუსეთის პრეზიდენტს გარკვევით განუცხადეს, კულისებს მიღმა გარიგებების დრო დასრულდაო. პასუხად პუტინმა განაცხადა:

— სირიაში ჩვენი ჯარის შეყვანა ნაადრევია!

ამავე დროს ვლადიმერ ვლადიმიროვიჩი მრისხანედ დაატყდა თავს უკრაინას. მან თქვა, რომ უკრაინამ სუვერენიტეტი დაკარგა და დღეისათვის მთლიანად ამერიკის დაქვემდებარებაში იმყოფებაო. პუტინი არც პირდაპირ მუქარას მოერიდა:

— არა მგონია, უკრაინელმა ხალხმა ასეთი მდგომარეობა დიდხანს აიტანოს!

ამრიგად, სირიაში რუსეთის არმიის დიდი ნაწილების გადასროლა არ მოხდება. სამაგიეროდ, კრემლი მთელი თავისი ძალების მობილიზაციას უკრაინის წინააღმდეგ მოახდენს. ეს კი უკვე გაუვალ უფსკრულს შექმნის როგორც რუსეთ-უკრაინას, ისე რუსეთ-დასავლეთს შორის.

# ჩინეთი არმიას ამცირებს



— ჩვენი არმია მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი და უძლიერესია! თუმცა დადგა მისი შემცირების დრო! უახლოეს ხანებში ის 300 000 სამხედრო მოსამსახურით შემცირდება! — განაცხადა ჩინეთის სახელმწიფოს მეთაურმა სუ ცზინლინმა.

ჩინეთის არმია მსოფლიოში ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი და კარგად გაწვრთნილი შეიარაღებული ძალაა. ამერიკელი ექსპერტის ლესლის კლარკის აზრით, ჩინეთის შეიარაღებული ძალები აშშ-ს შემდეგ მეორე ადგილზე იმყოფებიან. ჩინეთმა უკვე კარგა ხანია გაუსწრო რუსეთს, რომელიც მესამე ადგილზეა.

— ჩინეთი როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური მაჩვენებლებით რუსეთზე წინაა! შესაბამისად, რუსეთ—ჩინეთის ალიანსი იქნება სუსტის კავშირი ძლიერთან, ანუ რუსეთს ჩინეთის ღარიბ სატელიტად გადაქცევა ემუქრება, — აცხადებს ზბიგნევ ბჟეჟინსკი.

ექსპერტების უმრავლესობა ხაზს უსვამს იმას, რომ სუ ცზინლინმა თავისი განცხადება მაშინ გააკეთა, როცა ჩინეთში მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 70-ე წლისთავი აღინიშნა. აშშ-ს პრეზიდენტი ობამა დღესასწაულს არ დაესწრო. მან თქვა, რომ ამერიკა-იაპონიის ურთიერთობებში ახალ ერა იწყება.

— ეს იყო ნათელი სიგნალი იმისა, რომ ვაშინგტონი ჩინეთის პოლიტიკით უკმაყოფილოა, — იტყობინება 112 არხი.

ვლადიმერ პუტინმა, რომელიც ამ დღესასწაულს დაესწრო, ისაუბრა რუსეთ-ჩინეთის სტრატეგიულ კავშირზე, რომელიც დასავლეთს, კერძოდ, აშშ-ს უნდა დაუპირისპირდეს. ამ ფონზე გაისმა სუ ცინზლინის განცხადება, არმიის შეცირებას ვაპირებთო.

— ჩინეთის ლიდერმა გარკვევით მიანიშნა, რომ აშშ-სთან კონფრონტაციას არ აპირებს, —ამბობს უკრაინელი ექსპერტი ფისენკო.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი: ჩინეთი უკრაინის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს და ყირიმს უკრაინის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს.

# პოროშენკო რუსეთს ბრალს სდებს



უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ 31 აგვისტოს უმაღლეს რადასთან მომხდარ ინცინდენტში რუსეთის სპეცსამსახურები დაადანაშაულა. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ კრემლი ცდილობს უკრაინა შიგნიდან ააფეთქოს და ახალ-ახალ შეთქმულებებს გეგმავს. მიზანი უკრაინის კანონიერად არჩეული ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა და მასობრივი არეულობის ინსპირირებაა:

— მოვუწოდებ დასავლეთის ქვეყნებს, რათა რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ, — განაცხადა პოროშენკომ.

უკრაინის პრეზიდენტის სიტყვების სიმართლე უნებლიეთ ისრაელის სპეცსამსახურ „ნატივის“ ყოფილმა შეფმა, ამჟამად კი პუტინის რუპორმა იაკობ კედმიმაც დაადასტურა. მან თქვა, რომ უკრაინის ამჟამინდელ ხელისუფლებას დიდი დღე აღარ უწერია.

— პოროშენკო აღარავის სჭირდება. ევროპა დაუსრულებელი კონფლიქტისაგან დაიღალა. მოსკოვი მას მტრად აღიქვამს, უკრაინელი ხალხის უდიდესი ნაწილი კი იმედგაცრუებულია, — ამბობს კედმი.

„ნატივის“ ექსშეფმა დაკონკრეტება არ ისურვა, მან მხოლოდ ის თქვა, რომ უკრაინას ორი გამოსავალი დარჩა: ან დონბასთან ფედერაციული ხელშეკრულების გაფორმება, ყირიმის რუსეთთან შეერთების კანონიერების აღიარება, ან კონფრონტაციის გაგრძელდება. მეორე ვარიანტის შემთხვევაში ომი ხან შეჩერდება, ხანაც ახალი ძალით იფეთქებს. შეთქმულებები, დივერსიები და ტერაქტები კი პერმანენტულ ხასიათს მიიღებენ.

— ეს შიზოფრენია მანამ არ შეწყდება, სანამ უკრაინის ხელისუფლებაში საღად მოაზროვნე პოლიტიკოსები არ მოვლენ, რომლებიც ხვდებიან, რომ ევროპაში უკრაინა არავის არ სჭირდება, ინვესტიციებსაც, რუსეთის გარდა, აქ არავინ არ დააბანდებს, — ასკვნის პუტინის რუპორი კედმი.

გაცილებით გულახდილი იყო დონეცკელი სეპარატისტების ლიდერი ზახარჩენკო. თავის ტელეინტერვიუში მან შენიშნა, რომ უკრაინული სახელმწიფო საერთოდ არ უნდა არსებობდეს.

— მალე კიეველები თავის თავზე გამოცდიან, თუ რას ნიშნავს „გრადებით“ დაბომბვა და შიმშილი! უკრაინის დედაქალაქში ქუჩის ბრძოლები გაიმართება, დაახლოებით ისეთი, როგორიც 1991-92 წ.წ.-ში თბილისში იყო! ამაზე მუშაობა უკვე დასასრულს მიუახლოვდა, — აცხადებს ზახარჩენკო.

# ორბანმა ხელები დაიბანა



უნგრეთის პრემიერი ვიქტორ ორბანი აცხადებს, რომ ევროკავშირმა ლტოლვილ არალეგალების მიმართ პოზიცია უნდა გაამკაცროს. პრემიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დარჩენა არც ერთ არალეგალს არ სურს. ისინი დასავლეთში, განსაკუთრებით გერმანიაში გადასვლას ცდილობენ.

— ბუდაპეშტის რკინიგზის სადგური არალეგალებითაა სავსე! ისინი გერმანიაში გამგზავრებას ცდილობენ. უნგრეთში, პოლონეთში ან ბალტიისპირეთში დარჩენა არც ერთ მათგანს არ უნდა! — თქვა ორბანმა.

პრემიერმა ევროკავშირს მოუწოდა, ლტოლვილების მიმართ უფრო მკაცრი პოზიცია დაიკავოს, კერძოდ, პირდაპირ განუცხადოს, ევროპაში არ ჩამოხვიდეთო.

— არალეგალები ეს გერმანიის პრობლემაა, ჰოდა, ამას გერმანიამ უნდა მიხედოს! — აბობს ორბანი

# დასავლელი ექსპერტები რუსეთის უახლოესი პერსპექტივების შესახებ

რუსეთში შექმნილი მდგომარეობა დასავლეთის მძაფრ შეშფოთებას იწვევს. ცნობილი ექსპერტი ანდერეას ასლუნდი აცხადებს, რომ ეკონომიკური კრიზისი არა იმდენად სანქციებმა, არამედ რუსეთის შიგნით არსებულმა ფაქტორებმა განაპირობეს.

— რუსეთი ისევე, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის ბევრი ქვეყანა, კლანური პრინციპით იმართება. კადრების შერჩევა არა პროფესიონალიზმის, არამედ „ჩემიანის“ პრინციპებით ხდება. შედეგად გვაქვს, რომ უდიდესი მასშტაბების ფაქტიურად მმართველი კლანი სახელმწიფოს ან ხალხის ხარჯზე ცხოვრობს! კრიზისიც ამისი ლოგიკური შედეგია, — ამბობს ასლუნდი.

ექსპერტის აზრით, აშშ-სა და ევროკავშირის სანქციებმა მხოლოდ კატალიზატორის როლი შეასრულეს. რაც შეეხება დონბასის ომს, მან პროცესები ძალზე დააჩქარა.

— თუკი ასე გაგრძელდა, უახლოეს პერიოდში რუსეთში კოლაფსი გარდუვალია! ისმის კითხვა, რა მოხდება ამის შემდეგ. ფაქტია, რომ რუსეთში რაღაც მწიფდება, მაგრამ, რა? — კითხულობს ასლუნდი.

ინგლისელი ექსპერტი ტიმოთი ეში არ იზიარებს მოსაზრებას, რომ რუსეთს უახლოეს მომავალში კოლაფსი მოელის. მისი აზრით, მოსკოვს უამრავი საშუალება გააჩნია, რათა ეს თავიდან აიცილოს. თუმცა ეში ეთანხმება იმას, რომ, ადრე თუ გვიან, კოლაფსი გარდუვალია.

— საქმე მხოლოდ იმაშია, თუ როდის დაიწყება კოლაფსი, წელს, გაისად თუ რამდენიმე წლის შემდეგ, — ამბობს ეში.

ორივე ექსპერტი ერთსულოვანია იმაში, რომ რუსეთი ვერც დონბასს და ვერც ყირიმს ვერ შეინარჩუნებს. უკრაინელი ხალხის თავგანწირული წინააღმდეგობა, უკრაინისადმი აშშ-სა და მსოფლიო საზოგადოების მხარდაჭერა, რუსეთში ეკონომიკური კრიზისის გარდუვალი გამძაფრება აიძულებს მოსკოვს, უკან დაიხიოს.

— რუსეთი უკრაინიდან აუცილებლად წავა, მაგრამ არავინ იცის, როდის ან რა მსხვერპლის ფასად მოხერხდება ეს, — აცხადებენ ექსპერტები.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

[illegible]

მის.: მეტრო „დიდუბე“, [illegible], 1-ლი სართ., კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 [illegible]

## ორშაბათი 7 სექტემბერი

**08.00** ან/ფ "გამოცანი" "მანონი" **09.00** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **09.30** "სადილის დრო" **10.00** ტ/სერ. "**მეცამეტე მოციქული**" **11.00** ტ/სერ. "**ჩენჯო ვეტრინე**" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **13.30** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის სამყარო" **14.30** მ/ფ "**გულის მოგზაურობა**" **16.40** "ეკონომეტრი" **17.30** მ/ფ "**ნათურაძიანი მეძარი**" (რ.რედფორდი) **19.30** "სიტყვების თამაში" **21.00** ტ/სერ. "**სიცრუე**" **22.00** ქართული ტ/ფ **22.35 ფეხბურთი**. ევროპის **2016** წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი: **ირლანდია – საქართველო** (პ/ტრ) **00.35** მ/ფ "**ბოლეინის კიდევ ერთი ასული**" (ნ.პორტმანი) **02.30** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის სამყარო"

**08.00** მ/ფ "**ზღაპრული უფლისწული**" **09.30** დ/ფ "საზღვრებ-თით–ათეთი" **10.00** დ/ფ "მჭახარი წლის ჯუნგლები" **11.00** ქარ. მ/ფ "**შინაური რომანი**" **12.05** დ/ფ "დიდებული დუნაი" **13.00** "აფხაზეთი" **14.00, 22.00** ტ/სერ. "**ადვოკატები**" **15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** დ/ფ "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სანიმუშო სოფელში" **18.00** დ/ფ "შავი მატერიის საიდუმლო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "გამძაფრებული რეპერტუარი" **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** მ/ფ "**კოზირის ტუზები**" (ეგარსია)

**07.30** სერ. "**მერლინი**" **08.30** სერ. "**კარმა**" **09.00** სერ. "**ზოგა ქალი**" **10.00** სერ. "**გზაჯვარედინი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00,** ქრონიკა **11.20** სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" **13.00** სტუმრად იუმორისტთან **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**სიყვარულის საფასური**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **6** სერ. **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **1** სერ. **22.00** ლოტერეა-შოუ პრემია "საბა" - დაჯილდოების ცერემონია **00.00** შალვა რამიშვილის შოუ **01.00** მ/ფ "ნონ-სტოპი" (ლ.ნიმი) **03.10** მ/ფ "**ურმილის იმითა მხარეს**"

**07.00, 15.40** სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**მოგზადოგზულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** "კომედის კონცერტი" **00.00** ქალთა სახეები **00.30** სპორტ ტაიმი **01.00** სერ. "**გრიმი**" **01.00** მ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მ/ფ.

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია "სიხარული ჩვენი მართმადიდებლობაც" **06.35** პატრიარქ ხატის მიერ მოხედვილი სასწაული **06.45** ქართული ალბომი "ქროლვანი უნაპირონი შალუტ-აშვილი" **07.10** თვენი "კალენდრის შესახებ-დეკანოზი ბიძინა გუნია" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება "იგავი მეფის ძის ქორწილზე" II **10.50** კვირიაკე **12.05** მ/ფ "**თოვლინების ისინიანე**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.30** დოკ. ფ. "დები ტრევისის საოცარი სახლი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.35** ბავშვები მუზეუმში **15.50** სპექტაკლი "**დარისპანის გასაჭირი**" **17.30** დეკორატიული ფლორა "კრასულა ოვატა-ზარაჯის ხე" **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მ/ფ "**თეთრი ქარავანი**" **20.40** ძილი ნებისა "სასწაული გენქალეთის ტბასთან, მგლები და ცხვრები **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** პატრიარქი "გლახაკების მიმართ მოწყალე ძმაგად მიიღებს" **21.35** ღვთის სახლი "ზაქთალა" **21.50** ჩვენი ამბავი "ბრძოლა აჭარისთვის" **22.25** დოკ. ფ. "არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰ ქვია"-ქარელი **22.45** საქართველოს სამართლის ისტორია **22.50** მუს.პაუზა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დოკ. ფ. **00.25** ტალანტები და თაყვანისმცემლები "გურამ საღარაძე" **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 12.00, 15.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.00,** "მაესტროს **3.30** ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია "**კუნგ-ფუს ოსტატი**" **8.30 სერიალი "სხვისი სხეული"** **10.00 სერიალი "ქუჩები და გუნები"** **12.30 სერიალი "უშენოდ ვერ ვსუნთქავ"** **13.30 სერიალი "დაკარგული დრო"** **15.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.00 სერიალი "მფარველი ანგელოზი"** **18.30** დოკ. ფ "საქართველო მე-XX საუკუნე" **19.00 სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ"** **20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.00 სერიალი "ფერფლი"** **23.00 სერიალი "ქურთ სეიტი და შურა"** **0.30 სერიალი "სხვისი სხეული"** **2.00 სერიალი "ქუჩები და გუნები"**

## სამშაბათი 8 სექტემბერი

